საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 18 მარტი. 2016 წ. №50 (7942), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

②

თეა წულუკიანი:

ჩვენ ვართ ის ხელისუფლება, ვინც „ოდეერების“ ხანა დაამთავრა ამ ქვეყანაში!

გრანი ქავთარია:

დაგვიანებული წუხილი გაფუჭებული საქმის მკურნალი არ არის!

⑥



გოგა ხაინდრავა:

უსინდისო ნაცები და „რუსთავი-2“-ის „კონკრეტა“...

④





③

ზვიად ნოდია:

მსოფლიო საგიჟეთს დაემსგავსა, სექსის კულტი კი წალეკავს უქადის სამყაროს!

ია მეტრეველი:

ოქრუაშვილი ისევ თანამდებობაზე მოჯდა, ამ ქვეყანაში სამართალს პირი არ უჩანს...

⑤

მამუკა კელაურაძე:

ისევ სპორტს ვემსახურები



⑩

◎ წყალსა და წყალს მიღმა

ოდესაში შეაგროვეს 30 ათასი ხელმოწერა მიხეილ სააკაშვილის გადაგდებისთვის



⑧

მისი მოადგილე კი საქალაქო საბჭოს სხდომიდან ხელით გამოიტანეს

მილიარდ-ნახევარ ლარზე მეტი საქართველოს ეკონომიკაში მაგთიკომისგან!

1 500 000 000

2016 წლის 15 მარტის მდგომარეობით, მაგთიკომმა დაფუძნების დღიდან, მხოლოდ გადასახადების სახით, 1,503,120,861.71 ლარი შეიტანა საქართველოს ეკონომიკაში.

მაგთი MAGTI

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

პენსიები — საბაზისო ინფლაციის გათვალისწინებით

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, პენსიონერების საბაზისო უზრუნველყოფა ყოველთვის უნდა ხდებოდეს ინფლაციის გათვალისწინებით. მთავრობის გუშინდელ სხდომაზე გიორგი კვირიკაშვილმა ასევე განაცხადა, რომ დაგროვებითი კომპონენტი მომავალი წლის მესამე კვარტლიდან ჩაირთვება.

...ეს არის უმნიშვნელოვანესი რეფორმა, რომელიც ხორციელდება ეკონომიკის სამინისტროს კოორდინაციით, ჩართულია ყველა დაინტერესებული უწყება. ჩართული არიან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები. ეს სისტემა გულისხმობს არსებული საპენსიო სისტემის ჩარჩოებში მოქცევას იმ კუთხით, რომ პენსიონერების საბაზისო უზრუნველყოფა ყოველთვის ხდებოდეს ინფლაციის გათვალისწინებით, ინდექსაციის პირობებში და ასევე ახალი დამატებითი, დაგროვებითი კომპონენტის შექმნას, რომელიც უკვე მომავალი წლის მესამე კვარტლიდან ჩაირთვება. მანამდე ჩვენ გვექნება საკანონმდებლო ცვლილებების, ინსტიტუციური ცვლილებების გაწერილი გეგმა. ეს დაგროვებითი სისტემა გულისხმობს თანადაფინანსების სისტემას. ესაა დასაქმებულის, დამსაქმებლის და სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან თანადაფინანსებული დაგროვებითი სისტემა, რომელიც გაცილებით სხვა ხარისხის სიბერეს უზრუნველყოფს მომავალი პენსიონერებისათვის. ეს სისტემა არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს არსებული მინიმალური საბაზისო უზრუნველყოფის გაუქმებას. პირიქით, არსებული საბაზისო საპენსიო უზრუნველყოფა იმოქმედებს დაგროვებითი სისტემის პარალელურად და საბაზისო სისტემით გათვალისწინებული პენსიების ინდექსირება მოხდება ინფლაციის კვალდაკვალ...

გიორგი კვირიკაშვილი მოჰედ ალტრადის შეხვდა

საქართველოში 2015 წლის „მსოფლიოს წლის მეწარმე“, სამშენებლო ბიზნესში ერთ-ერთი ლიდერი ფრანგული კომპანია „ალტრად ჯგუფის“ დამფუძნებელი, მწერალი და ფრანგული ელიტური სარაგბო კლუბ “მონპელიეს“ პრეზიდენტი მოჰედ ალტრადი იმყოფება.

ფრანგ მილიარდერს, რომელიც თბილისს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „მეწარმეობის განვითარების სააგენტოსა“ და EY საქართველოს მოწვევით ესტუმრა, გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საუბარი შეეხო ქვეყანაში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ფრანგულ ინვესტიციებს მიესალმება. მოჰედ ალტრადი დაინტერესებულია საქართველოთი, ქვეყნის კულტურითა და ისტორიით.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, მოჰედ ალტრადი ქართველი სტუდენტებისთვის მეწარმეობის სულისკვეთების თემაზე ლექციას წაიკითხავს.

„ალტრად ჯგუფის“ შვილობილ კომპანიებში, მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში, გასულ წელს 17 000 ადამიანი იყო დასაქმებული. კომპანიის წლიურმა ბრუნვამ დაახლოებით 1,6 მილიარდი ევრო შეადგინა.

თეა წულუკიანი: ჩვენ ვართ ის ხელისუფლება, ვინც „ოდეერების“ ხანა დაამთავრა ამ ქვეყანაში!

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ნაციონალური მოძრაობის საკანონმდებლო ინიციატივას გამოეხმაურა, რომლის თანახმად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უნდა გაუქმდეს.

როგორც წულუკიანმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა ის, რომ მოხდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გაყოფა, ეს იყო ქართული ოცნების წინასაარჩევნო დაპირება.

,,სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ყველა სახელმწიფოს სჭირდება, თუ ის სახელმწიფოა და აქედან გამომდინარე, ჩვენ სწორედ საარჩევნო დაპირების კვალდაკვალ გავყავით შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. ეს არის ის მოდელი, რომელიც ძალიან ახლოს არის ევროპულ სტანდარტებთან, როდესაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს ირჩევს პარლამენტი ანუ ხალხი, — თქვა წულუკიანმა.

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის კიდევ ერთ ინიციატივას, რომელიც ე.წ. ოდეერების ინსტიტუტის გაუქმებას გულისხმობს, იუსტიციის მინისტრი ამბობს, რომ ე.წ. ოდეერების ინსტიტუტი ქვეყანაში უკვე არ არსებობს და ეს ქართულმა ოცნებამ კანონმდებლობით მოაწესრიგა.

— პრაქტიკაში, ჩვენთან დღეს არიან უსაფრთხოების ოფიცრები იმ კრიტიკული ობიექტების ფარგლებში მხოლოდ, სადაც შეიძლება ქვეყნის უსაფრთხოების თემები იქნეს კონცენტრირებული. ჩვენ ვართ ის ხელისუფლება, ვინც ,,ოდეერების“ ხანა დაამთავრა ამ ქვეყანაში“, — დაბეჯითებით თქვა თეა წულუკიანმა.

საქართველოსა და ირლანდიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების 20 წლიწადი

გუშინ თბილისისა და დუბლინის დამეგობრების ორი წელი და საქართველოსა და ირლანდიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 20 წელი აღინიშნა. ამ საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, ირლანდიის ეროვნულ დღესასწაულზე, „თბილისი Event Hall“-ში, ცნობილი ირლანდიური და ქართული ჯგუფების — Jack Lukeman-ის და „ნიუტონის“ ერთობლივი კონცერტი გაიმართა. ირლანდიური ჯგუფი საქართველოს პირველად ეწვია და ქართველ მსმენელს შესთავაზა ცნობილი მუსიკალური ნაწარმოებები, გააცნო ირლანდიურიკულტურა.

საღამო კომპანია „ჯორჯიან ივენთსის“ ორგანიზებით გაიმართა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით.

ლადო პაპავა: მინდა, მადლობა ვუთხრა ჩვენს სტუდენტებს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში სასწავლო პროცესი სრული დატვირთვით აღდგა და იგი ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს. თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ თავად მოინახულა რამდენიმე აუდიტორია და აღნიშნა, რომ გაცდენილი სააუდიტორიო მეცადინეობების აღდგენის პროცესს უზრუნველყოფენ ფაკულტეტები.

— მინდა, მადლობა ვუთხრა ჩვენს სტუდენტებს, რომ კიდევ ერთხელ გამოიჩინეს დიდი სიყვარული და პატივისცემა უნივერსიტეტის მიმართ და ხელი არ შეუშალეს პირველ კორპუსში სასწავლო პროცესის აღდგენას. მადლობა მინდა, ვუთხრა ჟურნალისტებს, რომელთაც ჩვენთან ერთად გადაიტანეს ეს მძიმე დღეები და საზოგადოებას მიაწოდეს ობიექტური ინფორმაცია უნივერსიტეტში განვითრებულ მოვლენებზე. განსაკუთრებული მადლობა პოლიციას, რომელმაც ძალიან გამართულად იმუშავა, სწორედ ისე, როგორც ეკადრება უნივერსიტეტს. დიდი მადლობა სრულიად საზოგადოებას, რომელიც მძაფრი ინტერესითა და გულისტკივილით გვადევნებდა თვალყურს და გვერდში დაუდგა უნივერსიტეტს, — განაცხადა თსუ რექტორმა.

მისი თქმით, დიალოგი არის რთული ვითარებიდან გამოსვლის ყველაზე კარგი გზა და სასიხარულოა, რომ სტუდენტების ორივე ნაწილმა სწორედ ეს გზა აირჩია.

ვენეციის კომისია საკონსტიტუციო სასამართლოს ნაციონალ თავმჯდომარეს ექომაგება

ვენეციის კომისია შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საჯარო მოწოდებების გამო, შეწყდეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება. კომისია მიიჩნევს, რომ ასეთი ქმედებები ძირგამომთხრელია სასამართლოს ავტორიტეტისთვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილს ხშირად აკრიტიკებს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. მისი თქმით, „გიორგი პაპუაშვილი არათუ სტრასბურგის, არამედ იმ პოზიციის შესაბამისიც არ არის, რომელზეც ახლა იმყოფება“.

საქართველოს გარდა, ვენეციის კომისიამ შეშფოთებები გამოთქვა თურქეთის და სხვათა მიმართ.

ვენეციის კომისია თავს არ ანებებს სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ცხვირის ჩაყოფას.

კარასინის განცხადებაზე ინფორმაცია მეგობარ ქვეყნებს მიეწოდება

საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის გრიგორი კარასინის განცხადებას ეხმაურება. როგორც გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, კარასინის განცხადება უნდა ითარგმნოს და მეგობარი ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროებს მიეწოდოს.

ლავროვის მოადგილემ დაგვტუქსა, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად საქართველოში ანტირუსული რიტორიკა იმატებს, რასაც რუსეთი ჯერჯერობით ითმენს, თუმცა, ამ ,,მოთმინებასაც საზღვარი აქვს.

ოკუპაციის კანონის შეცვლას არავინ აპირებს

მთელმა მსოფლიომ, ცივილიზებულმა სამყარომ და მსოფლიო თანმეგობრობამ კარგად იციან, რომ საქართველომ 2012 წლიდან გადადგა ძალიან სერიოზული, კონსტრუქციული ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მიმართულებით, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ზალკალიანმა გრიგორი კარასინის განცხადებების კომენტირებისას განაცხადა.

მისივე თქმით, ყოველთვის, ამ ნორმალიზაციის კონტექსტში ქართული მხარე ეფუძნებოდა უმთავრეს პრინციპს — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი პატივისცემა, ასე იქნება მომავალშიც, თუ ჩვენს მეზობელს ჩვენთან ურთიერთობის ნორმალიზება სურს.

რა მითითებებს მიიღებს ვიაჩესლავ ჩირიკბა ლავროვის უწყებაში?

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადების შემდეგ, საქართველოდან მომდინარე საფრთხეებზე ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი საუბრობს.

,,რია ნოვოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ვიაჩესლავ ჩირიკბამ განაცხადა, რომ საქართველო შესაფერის მომენტს ელის — „შეეცადოს, ძალით დაიბრუნოს კონტროლი ამიერკავკასიაში ორ ახალგაზრდა სახელმწიფოზე“. მისი თქმით, საქართველოს უარი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან სამშვიდობო შეთანხმებაზე მეტყველებს მის „რევანშისტულ განზრახვებზე“.

„საქართველო ჯიუტად აცხადებს უარს ამ შეთანხმების ხელმოწერაზე, რაც არ შეიძლება, არ მეტყველებდეს მის რევანშისტულ განზრახვებზე“, — აღნიშნა ჩირიკბამ. ამავე დროს, აფხაზური მხარე მიიჩნევს, რომ ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის გარეშე ურთიერთობების ნორმალიზება შეუძლებელია. „სამწუხაროდ, პოსტკონფლიქტური სიტუაცია მცირე ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს“, — განაცხადა ჩირიკბამ.

ამ საქმის გამოძიებაში მე ვიყავი სრულიად გულწრფელი...

ჟურნალისტი ინგა გრიგოლია საგამოძიებო უწყებაში დაკითხვაზე ფარული ჩანაწერების გავრცელებასთან დაკავშირებით იყო დაბარებული.

როგორც გრიგოლიამ დაკითხვის შემდეგ განაცხადა, იმედი აქვს, რომ საქმე დროულად იქნება გამოძიებული, წინააღმდეგ შემთხვევაში მას კითხვები და ეჭვები გაუჩნდება.

,,გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ მოვყვები დეტალებს. მე ვარ გამოძიებისას პროკურატურის პარტნიორი. ამ საქმის გამოძიებაში მე ვიყავი სრულიად გულწრფელი და ყველა ინფორმაცია, რაც მქონდა, მივაწოდე, ასევე მივაწვდი ყველა ინფორმაციას, რაც მომავალში მექნება“, — განაცხადა გრიგოლიამ.



ზვიად ნოდია: მსოფლიო საგიჟეთს დაემსგავსა, სექსის კულტი კი წალეკვას უქადის სამყაროს!

სექსის კულტი, სექსის კერპები (სექსკერპთაყვანისმცემლობა), ამურის ისრები (სექსის დემონის ინსპირაცია) და ეროტომანია(ფსიქიკური აშლილობა სექსუალიზმის ნიადაგზე, ანუ პათოფსიქოლოგია) წალეკვას უქადის სამყაროს...

მსოფლიო საგიჟეთს დაემსგავსა, ხოლო მისი ანარეკლი – პრესა, ტელევიზია, ინტერნეტი კი აიძულებს კაცობრიობას სულმოუთქმელად მონაწილეობდეს მის მსოფლმხედველობაზე მიმართულ საინფორმაციო ომში;

ყოველივე ეს დაგეგმილ-გამიზნულად მომდინარეობს ეშმაკისა და მისი რაზმის ჯურღმულეთიდან, რათა ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობამდე და ერთი გაწბილებიდან მეორე გაწბილებამდე არაქათგაცლილებს და გონმოუსვლელებს ანტიქრისტე აარჩევინონ მსოფლიო მეფე-პატრიარქად.

როგორც სამოთხეში აცდუნა ეშმაკმა ევა და გაახსნევინა ცოდვის წყარო, ასევე ჯურღმულეთის მასონობამ მოხსნა „შემაკავებელი“(„ურჯულოების საიდუმლო უკვე მოქმედებს, ოღონდ ახლა არის შემაკავებელი, რის მერეც მოვა განდგომილება და უსჯულოების კაცი, ძე დაღუპვისა“ – პავლე 2 თეს; თ 2) და „პანდორას ყუთიდან“ ამოხეთქილმა ცოდვათა უბედურებებმა გადარია სამყარო...

ჯურღმულეთის დაკვეთით – სიყვარულის სახელს ამოფარებულმა სექსუალურმა რევოლუციამ ტაბუ ახადა ქალწულობისა და ქორწინების ინსტიტუტს და გარყვნილებას დაარქვა თავისუფლება;

ამ ფემინისტურ-ემანსიპაციურმა ეტაპმა ხიდი გადო ერთნაირსქესიანთა „უფლებებისა“ და „ქორწინებისთვის“;

ბუნებრივი სჯულისა და ცნობიერების გაუკუღმართებას მოჰყვა ცნებათა გაუკუღმართება და დამატებითი სქესობრივ-ფსიქო-სოციალური ფენების, ანუ ე. წ. გენდერების ჩაკვეხება საზოგადოებაში;

ზნეობის დაცემას ეწოდა პროგრესული დასავლური ღირებულებები და დემოკრატიულ-ლიბერალური ფორმაციის ზეგავლენით რასაც ჩასძახებენ კაცობრიობას, იმასვე აკეთებინებენ, როგორც ზომბს, გოის, შეპყრობილს;

მეძავის იარლიყი დაუტოვეს მხოლოდ იმათ, ვინც ფულისთვის „მუშაობს“ და არა იმათ, რომლებიც უბორდელოდ მძუნაობენ კატებივით; რაღა თქმა უნდა, ღმრთის მცნებები ერთს ამბობს და აკანონებს, ხოლო მეორეს, ანუ საწინააღმდეგოს ავრცელებს ეშმაკი;

ღმერთი თავადაა სიყვარული და სიყვარულის სიწმინდეს მოითხოვს, მაშინ, როცა ეშმაკი თვითონაა გარყვნილი და სხვაგვარად არ ძალუძს – მისი სიყვარული გარყვნილებაა და უწესო სექს ასაღებს სიყვარულად.

როცა ადამიანები შორდებიან ღმერთს და მის წესრიგს და გადაინაცვლებენ ეშმაკის „ახალ წესრიგში“, ხდებიან „ახალი ადამიანები“, ანუ ღმერთის ხალხისგან განსხვავებულები, მაგრამ, აქაც, სიტყვა „ახალი“ ისევეა უკუღმა გამოყენებული, როგორც ცნება „სიყვარული“.

სინამდვილეში კი – ახალია ქრისტე, განმაახლებელი ძველი კაცის - ადამისა და ჩვენი მოვალეობაა განვთავისუფლდეთ „ძველი ადამიანისგან“ (დაცემისკენ მიდრეკილი ბუნებისგან) და შევიმოსოთ ახალი ადამით – ქრისტეთი;

მაგრამ, „ახალი წესრიგი“ მოითხოვს – განვაგდოთ ქრისტე და მივუბრუნდეთ ძველ კაცს, რათა მასავით დავკარგოთ სამოთხე. ესე იგი, ერთიანად ამოაყირავეს ქრისტეანული არსისმიერი ცნობიერება და ყოფიერება და კიდევ იჩემებენ – ლიბერალიზმი ქრისტიანულიაო...

არადა, „შუა უძევს დიდი ზღვარი“: მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც უბიწო ქალწულის (ანუ, ქრისტეანობა) უმანკოებასა და „თავისუფალი სიყვარულით“ (ანუ ლიბერტარიანელობა) მეძაობას შორის, ისეთივე, როგორც წმინდა ოჯახსა, რომელსაც მცირე ეკლესიაც ჰქვია და როგორც გეი „ოჯახებს“ შორის.

ასეთია ქრისტეანული ღვთივდადგენილი წესრიგი და ვინც ეწინააღმდეგება და აკანონებს სხვაგვარ მსოფლიო „წესრიგს“, აშკარაა, რომ ნეოწარმართია („წარმართთა ღმერთები ეშმაკნი არიან“ – აცხადებს როგორც ბიბლიური დავით მეფსალმუნე, ასევე ქრისტეანობის მოციქული პავლე).

ქრისტეანობა ზნეობრივ თავშეკავებას და თავდადებას ქადაგებს, ლიბერალიზმი კი ვნებებს დამორჩილებას, რასაც დემონები აღაგზნებენ ადამიანებში; ქრისტეანობა ამაღლებას ემსახურება, ლიბერტარიანობა კი – ინსტინქტებზე დაშვებულობას.

სქესობრივი გახრწნილობის ცოდვებს მოაქვს – შიდსი, აბორტი, უშვილობა, გეებისთვის ბავშვების მიშვილება, ცის დახშვა და მიწის გაყამირება, ანუ ამქვეყნიური არსებობის დასასრული, სამოთხისკენ გზის ჩარაზვა და ჯოჯოხეთის უფსკრული...

როგორიცაა ლიბერალიზმი სახელმწიფოში, იგივეა ეკუმენიზმი ეკლესიაში, რომლის გამოც არ გვიცავს ღმერთი, თორემ ასეთ ყოფაში არ ვიქნებოდით!

სქესობრივი გახრწნილობის ცოდვებს მოაქვს – შიდსი, აბორტი, უშვილობა, გეებისთვის ბავშვების მიშვილება, ცის დახშვა და მიწის გაყამირება, ანუ ამქვეყნიური არსებობის დასასრული, სამოთხისკენ გზის ჩარაზვა და ჯოჯოხეთის უფსკრული...

სწორედ ამიტომ, აღმოსავლეთ საქრისტეანოს არასოდეს ერეოდა ერთმანეთში ცოლქმრული სექსი და მრუშობა მანამ, სანამ დასავლეთი არ შემოიჭრა ათეიზმით და დემოკრატიით და არ შეგვირია კაენისა და შეითის მოდგმებივით.

მართლმორწმუნეებმა უწყიან, რომ ღმერთისგან განთავისუფლებულებს სხვადასხვა ვნებათა აღმძვრელი ეშმაკები ეპატრონებიან და რომ სექსის დემონი ტრაბახობს: „მე მარტო ძალმიძს უმეტესი კაცობრიობის ჯოჯოხეთში გამწესებაო“...

დემონური ინსპირაციის მექანიზმი იოლი მისახვედრია: თუკი მამაკაცს არა აქვს სქესობრივი პოტენცია და მისი ასო უმაქნისია, რა აიძულებს უკანალით მოქმედებას? – ცხადია, ეშმაკისგან შთაგონება.

დააკვირდით – რა დგას ე. წ. რეინკარნაციის მიღმა, როცა ქალს კაცი ჰგონია თავი და ოპერაციას იკეთებს? – ისევ და ისევ ეშმაკი... მით უფრო, ვისაც ჩვეულებრივ სქესობრივი ცხოვრება შეუძლია, იმის გაუკუღმართება უფრო იოლად შეუძლია სატანას.

ასე, რომ ევროპასთან ჩვენ საერთო გვქონდა მართლქრისტეანობა და არა ეროტიზმი.

არც სხვისი განკითხვა მამოძრავებს და არც ჩემი სისუსტის გამომზეურება, არამედ, მხოლოდ ის, რომ გავაფრთხილო ისინი, ვინც ვერ ხვდება თუ როგორ მოქმედებს ადამიანზე უხილავი ძალა და როგორც მამები ამბობდნენ – „სხვებსაც უთხარი, თუ რამე იცი ანტიქრისტეს შესახებო“, მეც დავძენ: ვისაც ვნებების დემონთა მოგერიება არ შეეძლება, ვერც ანტიქრისტეს გაუწევს წინააღმდეგობას.

ამიტომ მივმართავ საზოგადო აღსარებას: მე, არაერთჯერ, კინაღამ დავუცივარ მაგ დემონს... და, ვისთვისაც სექსი ჯანმრთელობაა და ცუდი არაფერი, მას რა უნდა მოვთხოვო... არამედ, გთხოვთ – ცეცხლივით ერიდეთ ამ ცოდვის ცდუნებას; ერთმანეთს მოვუწოდოთ სიფრთხილისკენ; ვილოცოთ ერთმანეთისთვის. ნუ დაუჯერებთ და ნუ დაჰყვებით მათ, ვინც საწინააღმდეგოში გარწმუნებთ.

ასეთი რამ რომ ეთქვა იმ ე. წ. პრეზიდენტს, აჯობებდა, მაგრამ „კოკასა შიგან რაცა დგას“, იგივე წარმოადინა...

ადამიანი ღმერთმა განსაღმრთობად შეიქმნა და არა გასამიმუნებლად, ანუ პირუტყვობამდე ჩამოსაძვეითებლად.

ღვთისნიერმა ადამიანმა კარგად იცის, რომ სამყაროს ბატონ-პატრონი ღმერთია და არა ეშმაკი, რის გამოც, თავს არ მისცემს იმის უფლებას, რომ ორ ბატონს ემსახუროს და შეურაცხყოს ღმერთი და თავისთავი.

ის, რასაც ეშმაკი კადრებს ადამიანს, ღმერთისთვის მიუღებელია, რამეთუ ეშმაკის გასაფუჭებლად არ შეუქმნია ადამიანი ღმერთს, თუმც, არც რობოტად შეუქმნია და მის ნება-არჩევანს არ ლახავს;

მაგრამ, განსხვავებით დემოკრატ-ლიბერალებისგან, ღმერთი განკაცდა ჩვენს გადასარჩენად, გვეხმარება და გვაკვალიანებს: აქეთ წახვალ – გადარჩები, იქით წახვალ – დაიღუპები.

◎ ინფორმაცია

ვარშავის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ქართველებს სემინარზე იწვევს

ვარშავის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ქართველ მკვლევარებს პრაქტიკულ სემინარზე იწვევს. 2016 წლის 1-2 ივლისს ვარშავის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (პოლონეთი) გაიმართება XIV პრაქტიკული სემინარი EUROPT 2016. ვორქშოპზე განხილული იქნება უწყვეტი ოპტიმიზაციის მიღწევები. ღონისძიებაში მონაწილეობა შეუძლიათ ქართველ მკვლევრებსა და მეცნიერებს.

ღონისძიების ორგანიზატორია ვარშავის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მართვისა და გამოთვლითი ინჟინერინგის ინსტიტუტი.

რეგიონული განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, რეგიონული განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა. ღონისძიება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა.

შეხვედრაზე, ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის, 2014 წლის 18 ნოემბერს ხელმოწერილი საფინანსო შეთანხმების (რეგიონული განვითარების მხარდაჭერა – ფაზა II) ფარგლებში მომზადებული „2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის“ წლიური ანგარიშის პროექტი და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით განახლებული – „რეგიონული უთანაბრობების ანალიზი“ განიხილეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი, ევროკავშირის მონიტორინგის ექსპერტი პიოტრ ჟუბერი, ექსპერტი კონორ კირნი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სხვა წარმომადგენლები.

„თბილსერვის ჯგუფმა“ ტენდერი გამოაცხადა

შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად ტენდერი გამოაცხადა. მერიის ინფორმაციით, სატენდერო პირობების საფუძველზე განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად, თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე არსებული ვითარება გაუმჯობესდება და თბილისის მერის დავით ნარმანიას წინასაარჩევნო დაპირების შესაბამისად, პოლიგონის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში მოუგვარებელი იყო, აღმოიფხვრება. სატენდერო წინადადებების მიღება მიმდინარე წლის 6 აპრილს დასრულდება.

200-მდე ზუგდიდელი მძღოლი, „მეტრო ჯორჯიას“ ავტობუსების შესვლას აპროტესტებს

ზუგდიდის ცენტრში 200-მდე მძღოლი ქალაქში „მეტრო ჯორჯიას“ ავტობუსების შესვლას აპროტესტებს. დაკავებულია აქციის რამდენიმე მონაწილე.

რამდენჯერმე იყო გზის გადაკეტვის მცდელობა, თუმცა სამართალდამცველებმა მძღოლებს ამის უფლება არ მისცეს. აქციის მონაწილეები საქმეში ხელისუფლების ჩარევას ითხოვენ, რადგან, მათი თქმით, თურქული კომპანიის შესვლით ისინი სამუშაოს კარგავენ.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი



უსინდისო ნაცები და „რუსთავი-2“-ის „კონჩიტა“...

— როგორც კი შხამის მიღებას თავს დაანებებ და აგრძნობინებ იმ მეშხამეებს „რუსთავი 2“-ის თამადობით, რომ საზოგადოებისთვის მიუღებელია ეს ყველაფერი, მაშინ შეწყდება მოწამვლის პროცესი, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას რეჟისორი გოგა ხაინდრავა, რომლის განცხადებით, პირადი ცხოვრების კადრებს ის პოლიტიკური ჯგუფი ავრცელებს, რომლის მიზანია ქვეყანაში დესტაბილიზაცია.

გოგა ხაინდრავა დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.

— „ნაციონალური მოძრაობა“ ამტკიცებს, რომ ბიძინა ივანიშვილის დავალებით ხდება პირადი ცხოვრების ინტერნეტ-სივრცეში ატვირთვა. მაინც ვის ინტერესში შედის ამ კადრების გავრცელება?

— პოლიტიკური სოდომი და გომორაა საქართველოში. აბსოლუტურად ნათელი იყო, რომ მაშინ, როცა ქართველი საზოგადოება და პირველ რიგში, ტელევიზია და პოლიტიკური ისტებლიშმენტი შეეგუა „ნაციონალური მოძრაობის“ საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენებას, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ყველამ მშვენივრად იცის ვისი წამოწყებულია ეს ფარული ჩანაწერები და ვისი განხორციელებულია.

როგორ ფიქრობთ იმ 25 000 ფაილის მხოლოდ ერთი პირი არსებობს? ორიც არსებობს, სამიც და ოთხი პირიც. მე, როგორც ოპერატორი, დუბლს ვიღებ იმისთვის, რომ თუ ეს გაფუჭდა, დარჩეს ასლი. ეს არის დაუწერელი კანონი. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს ვიგინდარა ნაციონალები ქვეყნიდან რომ წავიდნენ, შინაგან საქმეთა სამინისტროში დატოვეს კადრები? აბსოლუტურად ნათელი იყო, რომ ამ კადრების ჩანაწერები არსებობდა და ყველას კარგად გვახსოვს მეგის ქარდავამ გამოაცხადა, თუ იქნება ჩვენი დევნა, ჩვენ დავიწყებთ ამ კადრების გამოქვეყნებასო.

— ქარდავას ულტიმატუმი იმაში მდგომარეობდა, რომ ბაჩო ახალაიასთვის უნდა მოეხსნათ ყველა ბრალდება...

— რა თქმა უნდა, და ეს ყველამ მშვენივრად იცის. ყველაზე სამარცხვინო არიან ის ადამიანები, ვინც საკუთარი ოჯახის წევრების უბედურებას პოლიტიკურად იყენებენ. ის, რაც ახლა ქვეყანაში ხდება, ეს არის უბედურება. არავინ არ ფიქრობს ამ ადამიანებზე. განსაკუთრებული პოლიტიკური სიმპათია იმ ადამიანის მიმართ არ მაქვს, ვისი კადრებიც გავრცელდა, მაგრამ მის წინააღმდეგ განხორციელდა პოლიტიკური და არაადამიანური ვანდალიზმი.

ამ ადამიანის უკან ოჯახი დგას, შვილები და საზოგადოებრივი აზრი, ეს არავის არ აინტერესებს. ქართველი საზოგადოება კარგად უნდა დაფიქრდეს და შეხედოს რას წარმოადგენს დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი საქართველოში — ეს სამარცხვინო წუმპე, რომელიც ყველაფერს კადრულობს იმისთვის, რომ თავისი ანგაჟირებული ინტერესები განახორციელოს.

— „ნაციონალურ მოძრაობას“ გულისხმობთ?

— ყველას ვგულისხმობ. „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკური გუნდი არ არის. ეს არის სექტა. სიბინძურის, გარყვნილების და ყველანაირი ძალადობის ჯგუფი. ეს ჯგუფი წამლავს საქართველოს თავისი რუპორით, რომელსაც დღეს „რუსთავი-2“ წარმოადგენს. საკმარისია, ერთი სიტყვა თქვა და იწყება შენი წყევლა, გინება, ლანძღვა და ცილისწამება. ეს მას შემდეგ დაიწყო, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება დაიწყო ყველა მხრიდან და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. სხვათა შორის, ისინი, ვინც ყველაზე პატიოსნად ემსახურებიან საზოგადეობას, არ ჩანან, ვინაიდან თავიანთ საქმეს აკთებენ. ჩანან ისინი, რომლებიც ემსახურებიან ფულს.

— როგორ ფიქრობთ, სადამდე მივა ეს პროცესები? ფაქტია, რომ მორალურად ეს ყველაფერი მოქმედებს საზოგადოების განწყობაზე...

— ალბათ, ჩვენ მოგვწონს ეს და იმიტომაც არიან გათავხედებულები. საზოგადოება წინ რომ აღუდგეს და ბოიკოტი გამოუცხადოს მსგავს ქმედებებს და თქვას, რომ არავითარ შემთხვევაში, ვინც ამ ხერხებით ცდილობს პოლიტიკური დივიდენდების მოხვეჭას, საზოგადოების მხარდაჭერას ვერ მიიღებს, მაშინ სხვანაირად იქნება საქმე. სამწუხაროდ, ასეთი რეაქცია ჯერჯერობით არ ჩანს. შესაბამისად, ამით სარგებლობენ და გვამყოფენებ ამ სიბილწეში და სიბინძურეში.

— რამდენად სწორია ამ პროცესების ივანიშვილთან დაკავშირება, მაშინ როდესაც აღმოჩნდა, რომ ამის უკან ყოფილი მაღალჩინოსნები იდგნენ?

— ეს იმდენად სერიოზულია, რამდენადაც სერიოზული მოვლენაა გვარამია, სააკაშვილი, მერაბიშვილი და ახალაია. სამარცხვინოა რაც ხდება, მაგრამ მაინტერესებს, რა შუაშია აქ ივანიშვილი? ამის წინაპირობა ხომ ყველასთვის ნათელია?! ყველამ ვიცით რა გამოვიარეთ, ვინ რა ვიკადრეთ და ვინ არა, ვინ რაში მივიღეთ მონაწილება და ვინ არა, ყველამ ყველაფერი კარგად იცის. ყველაზე მეტად იმის მრცხვენია, რომ აბსოლუტურად უცხვირპირო ადამიანი რაღაცას იტყვის და მერე პრესა ამის გარშემო კითხვებს სვამს. უსინდისო ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება ცილისწამებით არის დაკავებული, ის, რომ რაღაცას იტყვის, ეს რატომ უნდა იყოს საინტერესო?!

— უსინდისო ადამიანში ვის გულისხმობთ?

— „ნაციონალურ მოძრაობას“ და, პირველ რიგში, კონჩიტა რომ ჰყავთ „რუსთავი-2“-ში „ნაპროკურორალი“ გვარამია. მისი განცხადების ტირაჟირება შეიძლება? რასაც უნდა, იმას ლაპარაკობს, საზღვარი არ აქვს. ისინი დიდი ხანია, გასული არიან მომსახურების ზონიდან, აღარც სინდისი აქვთ და აღარც ნამუსი, მაგრამ ეს რატომ არის პრესისთვის საინტერესო, არ მესმის. ადამიანს როდესაც ცილს სწამებენ, რატომ იმეორებენ ამას ჟურნალისტები? ხომ მშვენივრად იციან, რომ ცილისწამებაა, მაგრამ მაინც იმეორებენ. სწორედ ამას ჰქვია სიტყვითმკვლელობა და არა სიტყვის თავისუფლება!

— მაინც ვინ ავრცელებს ამ კადრებს, ისევ ის ადამიანები, რომლებმაც გადაიღეს ეს კადრები?

— ამ კადრებს ავრცელებენ ისინი, რომლებიც დაინტერესებული არიან ქვეყანაში დაუმთავრებელი ქაოსი იყოს. რაც მთავარია, არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც „რუსთავი-2“-ში გარბიან კომენტარის გასაკეთებლად. მათ არ ესმით, რომ თუ ვინმე არის დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური მოწინააღმდეგე, ეს ე.წ. ოპოზიციაა და არა „ქართული ოცნება“. ყველასთვის ხომ ნათელია რატომ ხდება.

„ქართულ ოცნებას“ რომ ვერ მოუგებენ, ძალიან კარგად იციან და ამ მეთოდით სპობენ იმ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ შედეგის ჩვენება არჩევნებზე. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნები უნდა მოუგოს „თავისუფალ დემოკრატებს“, ბურჯანაძეს, კუკავას და სხვებს. სწორედ ამიტომ არის მათ წინააღმდეგ ეს ყველაფერი მიმართული და არა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. ეს ხომ უმარტივესი სატყუარაა, რომელსაც ყლაპავენ ე.წ. პოლიტიკური ლიდერები. ყველამ კარგად იცის ეს კადრები ვის ხელშია და ვის სჭირდება დღეს არეულობა ქვეყანაში.

ამ პროცესებზე პასუხი, პირველ რიგში, იმათ უნდა მოვკითხოთ, რომლებიც ყვიროდნენ გაანადგურეთ ეს კადრებიო. არადა, კარგად რომ დავუკვირდეთ, ამის განადგურება შეუძლებელია, ვერ გაანადგურებ. ამას საზოგადოება უნდა აღუდეს წინ თავისი მორალით და სინდისით და არა გამოძიებით. როდესაც ღებულობ და ყლაპავ შხამს, მოიწამლები, როგორც კი შხამის მიღებას თავს დაანებებ და აგრძნობინებ იმ მეშხამეებს „რუსთავი-2“-ის თამადობით, რომ საზოგადოებისთვის მიუღებელია ეს ყველაფერი, მაშინ შეწყდება მოწამვლის პროცესი.

ცუდია, რომ ასეთ დღეში ვართ, მაგრამ კარგია, რომ ეს ავადმყოფობა ასე გამოაშკარავდა. მე ვამბობდი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის სარკომა და ეს სარკომა მთელი თავისი შიგთავსით გამომჟღავნდა ქართველი საზოგადოების წინაშე. დანარჩენი დამოკიდებულია ჩვენზე, ჩვეულებრივ ადამიანებზე, როგორ მივიღებთ და რა პასუხს გავცემთ „ნაციონალურ მოძრაობას“, მის საცეცებს და იმ ადამიანებს, ვინც მათ დუდუკზე უკრავენ და მღერიან.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა



კაკალ გულში

უტიფრებში ჩემპიონი გიორგი ბარამიძეა

● „სექსუალური საქართველო“ CNN-ზე გაშუქებულაო!

წავიდა ტურიზმი!!! პრეზიდენტმა და გრიგოლიამ გადაარჩინეს ქართული ეკონომიკა!!! (ახლა რა გაუძლებს ამათ ტრაბახს).

● უტიფარ ნაციონალებს რა ჩამოთვლის, მაგრამ ჩემპიონი მაინც გიორგი ბარამიძე მგონია.

● „ახლა ბაჩო კიკაბიძე ამერიკის საელჩოში იმყოფება“

ალბათ, „მაესტროს“ ლოგოსთვის პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს.

● მძიმეა, როდესაც შვილი იმედებს უცრუებს მშობლებს. — პოლიტიკოს დოლიძეს, ვიქტორს რომ არქმევდნენ, ალბათ, იმედი ჰქონდათ, კომპოზიტორი გამოვაო, ეს კი თავისუფალი დემოკრატი გამოვიდა.

● „საქართველოს თავდაცვის მინისტრმა მსოფლიოს მოუწოდა, რომ ცივილიზებული მსოფლიო უნდა გაერთიანდეს რუსული საფრთხის წინააღმდეგ. ნორმალურ საზოგადოებაში ასეთ განცხადებებს არ პატიობენ. ჩვენ თავს ვიკავებთ, მაგრამ ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი“, — აღნიშნავს კარასინი.

რა არის აქ არასწორი და აღმაშფოთებელი?

კარასინს კი არა, მე მაჟრიალებს ჩვენი თავდაცვის მინისტრის დანახვისას და მზად ვარ, იარაღზე ვიტაცო ხოლმე ხელი.

ერთი ეგაა, რომ იარაღი არა მაქვს...

● დიახ, კადრებს ჩვენ ვიღებდით,მდიდარი სექსუალური ცხოვრება რომ გვქონოდა, აბა რა გვექნაო?! მერე ხალხისთვის ინტერნეტშიც ვტვირთავდით, გავწყდით წელში წონიანი ფიგურების ატვირთვითო, მაგრამ პასუხისმგებლობა ხელისუფლებაზეა, ეგ უნიათოები რომ არ გვეხმარებოდნენო!!!

● ძალიან მარტივად შეხედეთ ნაციონალების და მათი მომხრეების უტიფრობებს, ნუ ბრაზდებით. მაგათაც „ზემოდან“ აქვთ ნაბრძანები ყველაფრის ფასად ყოფილი რეჟიმის გაპრავება და არსებული ხელისუფლების დისკრედიტაცია. დღითი დღე მოიმატებს — პროვოკაციები, კადრებით ხალხის დაშანტაჟება-გაღიზიანება, ხალხის ნერვებზე თამაში. მაგათ სხვა რეალობაში უნდათ ხალხის გადაყვანა — ვითომ არ მოუკლავთ, არ უწამებიათ, არ მოუპარავთ, არ დაუშანტაჟებიათ, არ წაურთმევიათ, არ დაუნგრევიათ, არადა, გვახსოვს და სწორედ ამის გამო ემსგავსებიან დღითი დღე გიჟებს. მე პირადად რიგ საკითხებში შემცდარი ხელისუფლება მირჩევნია ამ ნაძირლებს და აღარც ვუსმენ-ვუყურებ, რას ბჟუტურობენ სხვა „ოპოზიციურ“ პარტიებთან და მათ მომხრეებთან ერთად უნისონში. ამ ყველაფერს პასუხს გავცემთ არჩევნებზე.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ინფორმაცია

წყნეთში, დევნილთა დასახლებაში, გამაგრებითი სამუშაოები გრძელდება

ვაკის გამგებელი ნოდარ ტურძელაძე დაბა წყნეთში, დევნილთა დასახლებაში იმყოფებოდა, სადაც მე-2 კორპუსის (A ზონა) გამაგრებითი სამუშაოები ჩატარდა. მერიის ინფორმაციით, დაზიანებული ფუნდამენტი შეიცვალა მონოლითური რკინა-ბეტონის საძირკვლით, ამოივსო ბზარები, შეილესა კედლები, მოეწყო ტროტუარი.

15 წელზე მეტია, რაც აქ სამუშაოები არ ჩატარებულა. თანადაფინანსებული პროექტების ფარგლებში, გამგეობამ კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები განახორციელა.

ოქრუაშვილი ისევ თანამდებობაზე მოჯდა, ამ ქვეყანაში სამართალს პირი არ უჩანს...

ბუტა რობაძიძის მკვლელობისა და შემდეგ დანაშაულის დაფარვის გახმაურებული საქმე, რომელშიც შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ ჩართული კვლავაც აქტუალურია. „მეტრონომთან“ საუბარში ბუტა რობაქიძის დედა ია მეტრეველი სასამართლოს მხრიდან საქმის განზრახ გაჭიანურებაზე საუბრობს და იმედს გამოთქვამს, რომ ყველა დამნაშავე, რომელიც კავშირშია 19 წლის ბიჭის მკვლელობის საქმესთან დაისჯება.

რას დაჰპირდა მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე ბუტა რობაქიძის დედას?

— თქვენ აცხადებთ, რომ საქმე განზრახ ჭიანურდება და საქმის გაჭიანურებაში ირაკლი ფირცხალავა დაადანაშაულეთ. ფირცხალავა ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანია. თქვენი აზრით, ინარჩუნებს ის იმავე გავლენას სისტემაში, რაც ადრე ჰქონდა და კონკრეტულად ვინ ეხმარება მას?

— ნამდვილად მიზანმიმართულად ჭიანურდება ეს საქმე და უკვე ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა ამ ყველაფერმა. ეს არის ჩემი ოჯახის დაცინვა და იმ საზოგადოების დაცინვა, რომელიც აქტიურად ესწრება მესამე წელია ამ სასამართლო პროცესს. მინდა, აღვნიშნო ის, რომ ფირცხალავას გავლენები იმიტომ აქვს ჯერ კიდევ, რომ „ნაციონალები“ არიან ყველგან, ყველა სტრუქტურაში, ასევე სასამართლოში. ეს სასამართლო, რაც დღეს არის, ნამდვილად არ იყო ის საოცნებო სასამართლო. არცერთ მოსამართლეს პასუხი არ უგია თავის დანაშაულზე. მათ ათიათასობით ადამიანს უკანონო და უსამართლო განაჩენი გამოუტანეს. ეს მოსამართლეები ჯერ კიდევ თანამდებობებზე რჩებიან. ნამდვილად არ მინდოდა იმ მოსამართლეს გაეხილა, რომელიც იხილავს ჩვენს საქმეს, მაგრამ ახლა თითქმის ეჭვი არ მეპარება, რომ ფირცხალავას დავალებას ასრულებენ. როგორც მოხდა ვაზაგაშვილის შემთხვევაში, ყოველ მესამე დღეს ინიშნებოდა სასამართლო პროცესები და ამ შემთხვევაში ორი თვით და თვენახევრით შეიძლება პროცესის გაწელვა? მითუმეტეს ბუტას საქმეში არაფერი გამოსაძიებელი აღარ არის, გამოძიებულია ყველაფერი, უბრალოდ, ისინი, ვინც გირაოთი არიან გათავისუფლებული, უნდა ჩასხდნენ ციხეში. იმდენი მოწმე არსებობს და იმდენად ხელისგულზეა ყველაფერი, რაც გააკეთეს ამ დანარჩენებმა, გარდა იმ მკვლელისა, რომლებმაც 19 წლის ბავშვს სიცოცხლე წაართვეს. არაფერი გამოსაძიებელი აქ არა არის. უბრალოდ, დამნაშავე არის დასასჯელი დროულად და ამას არ აკეთებენ. ეს ყველაფერი არის ჩემი შეურაცხყოფა, უკვე ჩემთვის აუტანელია ამ ყველაფრის გაძლება.

— სასამართლოში ბოლოდროინდელ მოვლენებს როგორ აფასებთ და ფიქრობთ, რომ დღევანდელი სასამართლო სისტემა ბოლომდე მიიყვანს თქვენი შვილის მკვლელობის საქმეს?

— მართლი გითხრათ უკვე აღარ მაქვს იმედი. ნამდვილად არ მიბრძოლია ასეთი სასამართლოსთვის. მურუსიძე, რომელიც დანიშნეს და დანარჩენი მოსამართლეების ნაწილიც აცხადებს დღეს, რომ მეც მურუსიძე ვარო. უკვე რისი ნდობა შეიძლება გქონდეს. ერთადერთი იმის იმედი მაქვს, რომ ჩვენი საქმე იმდენად აშკარაა, იმდენი მოწმეა, რომ უბრალოდ ვერ შეძლებს მოსამართლე კრიმინალებისთვის სასურველი განაჩენის გამოტანას. მხოლოდ ამის იმედი მაქვს დარჩენილი. ვერ გაექცევა უბრალოდ მტკიცებულებებსა და მოწმეებს.

— ხელისუფლების ცვლილების შემდეგ თქვენ გქონდათ კონსულტაციები მაშინდელ პროკურორ კბილაშვილთან. დღეს რა ვითარებაა ამ მხრივ? გქონდათ თუ არა შოთაძესთან შეხვედრა, ან ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან და მათთანაც თუ გისაუბრიათ თქვენს პრეტენზიებზე სასამართლო სისტემის მიმართ?

— გენერალურ პროკურორ შოთაძეს შევხვდი. მისი იმედი ნამდვილად მაქვს, ძალიან კარგად ვარ განწყობილი მის მიმართ, იმიტომ, რომ ძალიან კარგი ადამიანია — ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს. მე ვიცი, რომ გულთან მიაქვს ჩვენი საქმე, პროკურატურა ნამდვილად არის ამ შემთხვევაში სათანადო დონეზე. გამოძიებული და წაყენებული აქვთ ამ ხუთ ადამიანს ბრალი, თუმცა არ მაქვს იმედი სასამართლოსი. როლები შეიცვალა სააკაშვილის პერიოდში პროკურატურა ახდენდა ზეწოლას სასამართლოზე და ახლა პირიქით. პროკურატურის ნდობა ბევრად მაქვს, სასამართლოსი უკვე აღარ.

რაც შეეხება კბილაშვილს, ზუსტად კბილაშვილი მპირდებოდა საქმის გამოძიებას. როგორც კი აირჩიეს, მან საჯაროდ, ღარიბაშვილის თანდასწრებით კონფერენციაზე, სადაც უამრავი ადამიანი იჯდა, იქ ჩემს კითხვაზე ასეთი პასუხი გამცა, რომ ჩვენ მოვედით სწორედ ამ გახმაურებული საქმეების, ამ ბიჭების სისხლზე და ჩვენ ვალდებულები ვართ პირველ რიგში ეს საქმეები მივიყვანოთ ბოლომდე. ჩვენ თქვენს ვალში ვართო. კბილაშვილის დროს, ნამდვილად მოხდა დაპატიმრება ამათი, ამ კრიმინალების, მაგრამ მაშინ კუბლაშვილის სასამართლომ პირდაპირ გირაოთი გამოუშვა ისინი.

— თქვენ გაქვთ პრეტენზიები სასამართლო სისტემის მიმართ. ბევრი აცხადებს, რომ სასამართლოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს უკავშირდება. თქვენ პრეტენზიები წულუკიანის მიმართაც გაქვთ?

— ვერ გეტყვით ასე ზუსტად და კონკრეტულად ვის რა გავლენა აქვს. ნამდვილად არ ვიცი, თუმცა, ფაქტი სახეზეა, რომ ახალმა ხელისუფლებამ, რითიც გამოვიდა ქუჩაში, პროტესტი რაზეც დაიწყო, ეს იყო ბუკა და სანდრო და შემდეგ, საუბედუროდ, ის დანარჩენი ბიჭები — ვაზაგაშვილი, გამცემლიძე... სწორედ ამას მოჰყვა დიდი პროტესტი და ქუჩაში ხალხის გამოყვანა. ახალმა ხელისუფლებამ ნამდვილად არ შეასრულა ის დანაპირები, რითიც მოვიდა. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი... უკვე ოთხი წელი გადის. მრცხვენია უკვე, მე, რომელიც ფრონტის პირველ ხაზზე ვიყავი და ამ ხელისუფლების რიგითი ჯარისკაცი ვიყავი. დღეს ამ თემაზე ისევ რომ მიწევს საუბარი, ჩემთვის ძალიან გულდასაწყვეტია. გაოგნებული და გაოცებული ვარ, რა ხდება ეს.

— თქვენ მოითხოვდით ყოფილი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის პასუხისმგებლობის დაყენებასაც. ცოტა ხნის წინათ ცნობილი გახდა, რომ გორის საკრებულოში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა.

— ის მინისტრი იყო და ადრე დავუსვი მას კითხვები „ფეისბუქის“ საშუალებით, თუმცა მათზე პასუხები არ მიმიღია. ის იყო მინისტრი და მართალია, მოგვიანებით, მაგრამ მაინც ხომ გაიგო, რაც მოხდა. ოქრუაშვილი პასუხისმგებლობას გაურბის. რატომ აღარავინ ახსენებს ირაკლი ოქრუაშვილს, ის იყო მინისტრი და მასაც უნდა მოვთხოვოთ პასუხი ჩემი შვილის, რომელიც ბანდიტად გამოაცხადეს, საქმეზე. ეგ არ იცოდა ოქრუაშვილმა? პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა. დღეს მოვისმინე, რომ რაღაც თანამდებობა მიიღო, რაღაზე ვილაპარაკო. ეტყობა, ამ ქვეყანაში სამართალი არასოდეს არ იქნება.

— და ბოლოს გკითხავთ, რას ითხოვს დღეს ია მეტრეველი კონკრეტულად... ვის დასჯას ითხოვს?

— ამწუთას ვინც არიან ბრალდებულები, ეს არის ხუთი ადამიანი. მათგან მთავარი არიან მიქაძე და დონაძე. დონაძე იყო სცენარის ავტორიც და რეჟისორიც, ამას ადასტურებს უამრავი მოწმე. პირველ რიგში დონაძე და მიქაძე არიან დამნაშავეები.

ესაუბრა
მარიამ ვარადაშვილი

◎ კარგი ამბავი

ბანკები უიმედო სესხების ჩამოწერას ეთანხმებიან

ყველაზე ძნელად დასათანხმებელი რგოლი — ბანკები, უიმედო სესხების ჩამოწერას არ ეწინააღმდეგებიან. პირიქით, ბანკების ასოციაციის ხელმძღვანელი ზურაბ გვასალია ახალ ინიციატივას მიესალმება კიდეც. ახლა ჯერი პარლამენტზეა, რომელმაც ოპოზიციის ინიციატივა უნდა განიხილოს.

ზურაბ გვასალიას აზრით, უიმედო სესხების ჩამოწერა ერთგვარი სტიმული იქნება ბანკებისათვის, მაგრამ მოსახლეობამ ისე არ გაიგოს, თითქოს ეს ვალდებულებაა ბანკებისთვის.

— თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა იყოს შესწავლილი. როდესაც ფიზიკურ პირს უიმედო სესხი ერიცხება და ბანკმა გადაწყვიტა, რომ ეს სესხი ჩამოაწეროს, ამ შემთხვევაში ჩამოწერა გათანაბრებულია ჩუქებასთან. ჩუქების შემთხვევაში კი ეს დაბეგვრას უკავშირდება, რაც ბანკმა უნდა გადაიხადოს და ეს მისთვის დამატებითი ხარჯია. თუკი იმის უფლება და საშუალება მიეცემა საბანკო სექტორს, რომ სესხის ჩამოწერის გადაწყვეტილების მიღებისას ზედმეტი ხარჯისაგან გათავისუფლდეს, ბუნებრივია, საბანკო სექტორისთვის ეს გარკვეული სტიმული იქნება, — აღნიშნა გვასალიამ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ გამგეობის თავმჯდომარე გიორგი კეპულაძე ხაზს უსვამს, რომ ვალების ჩამოწერა ბანკების კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული და კანონმდებლობით ამის იძულება არ მოხდება.

მისი თქმით, იურიდიულად, სესხი ხანდაზმულად ითვლება სესხის დასრულების თარიღიდან სამი წლის გასვლის შემდეგ. **„ანუ თუ 2016 წლის იანვარში ავიღე სესხი, და 2016 წლის დეკემბერში მთავრდება ვადა, ხანდაზმულობის ვადა აითვლება არა მარტიდან, არამედ დეკემბრიდან. სამი წლის განმავლობაში თუ ბანკმა, ან საფინანსო ინსტიტუტმა, არ უჩივლა მოქალაქეს სასამართლოში, სამი წლის შემდეგ ხანდაზმულობის ვადა უკვე გასული იქნება. მომხმარებელმა უნდა შეიტანოს შესაგებელი სარჩელი, რომ ხანდაზმულობის ვადა გასულია.**

საერთოდ, ბანკები არჩევენ, რომ პრობლემური ვალდებულებები გადასცენ მესამე პირებს, ე.წ. კერძო ამომღებ კომპანიებს, რომლებიც პრობლემური სესხების მიმართულებით მუშაობენ. ამ საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, ბანკებს შეუძლია გამოიჩინონ კეთილი ნება და აპატიონ უიმედო სესხი მოქალაქეებს, — დასძენს კეპულაძე.

„თავისუფალი დემოკრატების“ რამდენიმე დღის წინათ პარლამენტში უკვე დაარეგისტრირეს „საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებების პროექტი. მისი დამტკიცების შედეგად, ათასობით მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება, გათავისუფლდეს უიმედო სესხისა და სანქციის დაფარვის ვალდებულებისაგან. მეორე მხრივ, ფინანსურ ინსტიტუტს შანსი მიეცემა, მის მიერ ნაპატიები სასესხო ვალდებულების ღირებულება ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითოს.

— შესაბამისი საგადასახადო შეღავათების დაწესებით, ვითარება მკვეთრად შეიცვლება. ფიზიკური პირებისთვის სასესხო ვალდებულების პატიების შედეგად ფინანსური ინსტიტუტების მიერ მიღებული სარგებელი საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდება. კომერციულ ბანკებს უფლება ენიჭებათ საკუთარი, შიდა კრიტერიუმების მიხედვით, ფიზიკურ პირებს ვადაგადაცილებული და პრობლემური სესხები ჩამოაწერონ, — აცხადებს „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, ფინანსისტი დავით ონოფრიშვილი.

ბექა დანელია

◎ ინფორმაცია

ქობულეთს განახლებული სახანძრო-სამაშველო შენობა ექნება

გუშინ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე ქობულეთში სახანძრო-სამაშველო შენობის გახსნას დაესწრო.

განახლებული შენობის გახსნის ცერემონიას შს მინისტრის მოადგილე მერაბ მალანია, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორი ზვიად ქაწაშვილი, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სტუმრებმა სამმართველოს გარემონტებული შენობა, სახანძრო-სამაშველო ტექნიკა და სრული აღჭურვილობა დაათვალიერეს. ახლადგარემონტებული, ორსართულიანი შენობა უახლესი ტექნიკითა და ინვენტარით აღიჭურვა. შენობაში 47 მეხანძრე-მაშველი და 6 თანამშრომელი იმუშავებს.

ქობულეთს 6 სახანძრო და 2 სამაშველო ავტომანქანა მოემსახურება.

დაგვიანებული წუხილი გაფუჭებული საქმის მკურნალი არ არის!

ჩვენი გამოხმაურება გამოიწვია გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ (19 თებერვალი, 2016 წ., № 2) გამოქვეყნებულმა აკად.ნოდარ ცინცაძის სტატიამ „ბანათლებისა და მეცნიერების დანგრევა სამშობლოს ღალატის ტოლფასია“.

სათაურში ხაზგასმულია რეალური სურათი, რომელიც თავს დაატყდა ქართულ სულიერებას ეშმაკის მოციქულთა აღზევების ხანაში. ბატონი ნ.ცინცაძე ცამდე მართალია, როდესაც წერს, რომ დაინგრა განათლება და მეცნიერება, მაგრამ ვის სახელს უკავშირდება ნგრევა, არ ასახელებს. წერილიდან ვერ გავიგებთ, ვინ არის დამნაშავე. სათაური ზუსტია, მაგრამ არ არის მინიშნებული ტრაგედიის წყარო, რომელმაც ამოხეთქა შავი ჭირის სახით და მიწასთან გაასწორა წლების მანძილზე აღმართული სულიერების ტაძარი. ჩვენი აზრით, საქართველოს თავსდატეხილ უბედურებას ჰყავდა ავტორი (თუ ავტორები). აკად. ნ. ცინცაძის წერილში მნგრეველები ანონიმებად რჩებიან. ამის მიუხედავად, შესანიშნავად არის ნაჩვენები რაოდენ მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვეს განათლებისაგან საკმაოდ შორს მდგომმა ჯოჯოხეთის მაშხალებმა, რომლებიც ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ წმინდა ადგილებს, რომ სავარძლები გაეთავისუფლებინათ თავიანთი მწირი გონებით შექმნილი კერპებისათვის.

აკად. ნ. ცინცაძე წერს, „საკითხი, რომლის გარშემოც მე ვაპირებ საუბარს, თითქოს და ყველასათვის გასაგები და აგრეთვე კარგად ცნობილია, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა დუმს!“ იბადება კითხვა, ვინ დუმს? თუ ბატონი ნ.ცინცაძე მდუმარეებში იმ პირებს გულისხმობს, რომლებიც ნაცისტების „ღვთაებრივ“ მოვლინებას ოვაციებით შეხვდნენ, მისასალმებელია. მაგრამ წერილში გვერდი აქვს ავლილი იმ ფაქტის ჩვენებას, რომ ნგრევაში ლომის წილი შეიტანეს იმ მძლეთამძლე პერსონებმა, რომლებსაც თავი მშენებლებად ჰქონდათ წარმოდგენილი და წარმართავდნენ ყოველდღიურ ცხოვრებას. მთავარია იმ ნიღაბის ჩამოხსნა, რომელიც კვებავდა „სამოთხეში“ შელწევის ნეტარებას. აკად. ნ.ცინცაძის წერილი განვლილი განკითხვის დღეების დაგვიანებულ გამოხმაურებას წარმოადგენს. როდესაც ნგრევა დაიწყო, იგი მნგრეველთა გვერდით იდგა და ხელი არ შეუშლია უკეთურთა ბოროტი განზრახვისთვის. ამის გამო აღმოვჩნდით იქ, საიდაც ვართ, ახლა არ მოგვწონს? რას მოელოდა ბატონი ნოდარი ქარის მიმართულების იმედზე მყოფთაგან? ნუთუ ჰგონია, რომ გამოვლენ ახლა და მხარს დაუმშვენებენ? როგორც ბოლო წლების მოვლენებმა აჩვენეს, უნივერსიტეტელთა ერთი კატეგორია, პატივის შენარჩუნების მიზნით, ლომაია-ხუბუას კი არა, თემურ ლენგის გვერდით დგომაზეც არ იტყოდა უარს. მათი რიცხვი საოცრად დიდია და ამიტომაც ცდილობენ, შეინარჩუნონ მზაკვარი ნაცისტების ნაწყალობები პრივილეგიები. ძლიერთა წინაშე ქედის მოხრამ გამოიწვია ის სავალალო მდგომარეობა, რომლის შესახებაც გვაუწყებს ბატონი ნ.ცინცაძე.

აკად. ნ. ცინცაძე თავისი კოლეგებს, რომლებსაც რაღაც დინებების წყალობით, ნაცისტების პროსკრიპციები არ შეხებიათ, მოქმედებისკენ მოუწოდებს და წერს, „დუმილის მიზეზი... ჩემთვის გაუგებარია. საკითხი ეხება საქართველოში განათლებას და მეცნიერებას. ის, რომ ორივე ინგრევა, ამას განათლებისა და მეცნიერების მესვეურები ან ვერ ხედავენ (ეს სამწუხაროა), ან ხედავენ და არაფერს ამბობენ (ეს კი სამშობლოს ღალატია“). ეს სრული ჭეშმარიტებაა და ასახავს იმ რეალობას, რომელიც მოუტანა საქართველოს რეფორმად წოდებულმა სიცრუემ, მაგრამ თვითონაც რომ მონაწილეობდა პირველ მნგრეველთა რიგებში, ეს მეტამორფოზა როგორ გავიგოთ? როდესაც უნივერსიტეტში პოლიცია იდგა, მაშინ არ ინგრეოდა განათლება და მეცნიერება? ბატონი ნ.ცინცაძე რომელ მხარეს იდგა? აკად.ნ.ცინცაძის გულისტკივილი არსებული უიმედო მდგომარეობით არის გამოწვეული, მაგრამ კარგი იყო მიენიშნებინა იმ პირთა პასუხისმგებლობაზე, რომელთა „პატრიოტულმა“ საქმიანობამ მიგვაახლოვა ცენტრალური აფრიკის ტომებს. კარგი იქნებოდა იმის შეხსენებაც, რა მონაცემების ხალხი უწევდა კოორდინირებას განათლება-მეცნიერებაში ახალი, მაცოცხლებელი სხივის შეტანას. ფაქტია, რომ საუნივერსიტეტო განათლებას ვერაფერს შემატებდა მრავალი მდარე მონაცემების მქონე პერსონა, მოყოლილი „რევოლუციის“ მღვრიე ტალღებს. ასე რომ მოხდა, ამის თქმას რატომ ვერიდებით?

წერილი გვაუწყებს განათლებისა და მეცნიერების დაქვეითებას, თუმცა არ ახსენებს, რომ ეს გამოიწვია უვიც „რეფორმატორთა“ ბრმა მიმბაძველობამ. ავტორი საყურადღებოდ მსჯელობს დისერტაციების დაცვის კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რომლის გათვალისწინება დადებითად იმოქმედებს მეცნიერების განვითარებაზე. აკად.ნ.ცინცაძე საქართველოში არსებული განათლებისა და მეცნიერების სავალალო მდგომარეობის შესახებ სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებს, მაგრამ სად უნდა ვეძებოთ გამომწვევი მიზეზები?

ბატონო ნოდარ! გასაგებია თქვენი გულისტკივილი, მაგრამ რაზედაც წუხართ, არის შედეგი იმისა, რასაც მხარი დაუჭირეთ ათი წლის წინათ. ზარების რეკვა დღეს, რომ ქვეყანა იღუპება, დაგვიანებული არ არის? რატომ ადრე არ შეუძახეთ ხელისუფლებას, რომ განათლება და მეცნიერება ცუდ გზაზე იდგა და შველას საჭიროებდა? და მნგრეველებს სამშობლოს მოღალატეებს უწოდებთ, ნგრევის პროცესში რატომ დუმდით? როდესაც ხელიდან გვაცლიდნენ ეროვნულ სიწმინდეს, მადლობას აღავლენდით, რომ ღმერთმა ხუბუას სახით კეთილი მწყემსი მოგივლინათ, რომელიც მორჭმით წარუძღვებოდა ევროპული სტანდარტებით გამართული განათლების აყვავებას. რაც აქედან მივიღეთ, სარკესავით ჩანს, ბატონო ნოდარ თქვენს წერილში, მაგრამ თავის დროზე მოახლოებული განსაცდელის თავიდან ასაცილებლად თითიც არ გაგინძრევიათ. თუ თავის მართლების სურვილი გაგიჩნდებათ, მზად ვარ პასუხის გასაცემად (პასუხში შევეხები იმ პირთა ღვაწლსაც, რომლებმაც უნივერსიტეტის ინტერესების დაცვას მშვიდი და ნებიერი ცხოვრება ამჯობინეს).

კართაგენი დაინგრა. ნგრევის მოწინააღმდეგენი ნანგრევებში მოყვნენ და იქ იმყოფებიან დღესაც. ამის შესახებ თუ გისაუბრიათ თქვენს ახლობელთა წრეში? ისიც ხომ ცნობილია, ვინც ნგრევას მხარი დაუჭირა, მკერდი ჩინმედლებით დაიმშვენა, ბრძენის მანტია მოისხა და ერს ჭკუას არიგებს, რომ გაარჩიოს კარგი და ცუდი. რა ჰქვია ამას? ბატონო ნოდარ, უნივერსიტეტი დაინგრა მაშინ, როდესაც თქვენმა საფიცარმა და საამაყო რაინდებმა, ლომაიამ და ხუბუამ ცოდნის ტაძარში პოლიცია შემოიყვანეს, პროფესორთა ნაწილი ძალის გამოყენებით გამორეკეს და შენობაში შესვლა აუკრძალეს. ნაცისტური განუკითხაობისა და ბოროტების ნერგზე ამოზრდილი ხელისუფლების მოქმედება თქვენ ნორმალურად მიგაჩნიათ? ნუთუ ვერ ხედავდით, თქვენმა იმდროინდელმა რექტორმა როგორ გაიგო ფეხქვეშ პიროვნების ღირსება, გაათანაბრა მცოდნე და მცირე მცოდნე, ყოველგვარ მზაკვრობას აჩუქურთმებდა ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების მოტივით. სინამდვილეში თვალს ხუჭავდით, როგორ იცლებოდა სისხლიდან ქართული სულიერების ნავსაყუდელი, როგორ ეძლეოდა დავიწყებას ტრადიციები. კვლავ ვიმეორებ, ბატონო ნოდარ, თქვენს წერილში დასმული საკითხები უაღრესად აქტუალურია და, არ მგონია, ერთი დღის ნაფიქრი იყოს, მაგრამ როდესაც ნგრევა დაიწყეს, მაშინ რატომ არ გაგიჩნდათ პროტესტის გრძნობა?

ბატონო ნოდარ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რასაც ბრძანებთ, სრული სიმართლეა. ვინც არ დაგეთანხმებათ, სამშობლოს მოღალატეზე მეტია, ან სამშობლო ჩირად არ უღირს და მხოლოდ საკუთარ თავზე და კეთილდღეობაზე ფიქრობს. რასაც თქვენ წერთ, ჩვენთვის ახალი არ არის, მაგრამ სასიხარულოა, რომ სარკინოზთა მახვილით დაჭრილ უნივერსიტეტის იმედდაკარგულ დამცველებს სოლიდარობა გამოუცხადა ისეთმა პიროვნებამ, როგორიც თქვენ ბრძანდებით. ეს მეტამორფოზა შეიძლება გახდეს წყალგამყოფი და თქვენს დაგვიანებულ ქმედებას მიბაძონ ლომაია-ხუბუას მზაკვრობით (თუ ადამიანური სისუსტეებით) გაუგებრობაში მოხვედრილმა პირებმა. როგორც ვხედავთ, ბოროტება არ იმალება. ძალადობით თავსმოხვეული სალტე თუ ბორკილი ბოლომდე ვერ შეინარჩუნებს სიმტკიცეს და გაწყდება, ადამიანები დაიბრუნებენ ადამიანურ სახეს. დავიწყებას მიეცემა ნაცისტების დანთხეული შხამი და გესლი. იქნებ მაშინ გვეღირსოს სასურველი დღის დადგომა. იმ საყოველთაო განუკითხაობისა და შიშიანობის დროსაც ხომ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არ ეშინოდათ, უძლებდნენ გარეწართა მხრიდან შეურაცხყოფას, დამცირებას და შევიწროებას.

თქვენმა წერილმა იმედი გააჩინა იმისა, რომ ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია ნაცისტების ბოროტი ხელით დაღდასმული უნივერსიტეტის ძველი დიდების დაბრუნება. ამდენად, თქვენი გამოსვლა (მართალია, დაგვიანებული) მნიშვნელოვან ძვრად უნდა მივიჩნიოთ, თუ თქვენი თავშეკავებული კოლეგებიც გადალახავენ დუმილის კედელს და ქართული განათლებისა და მეცნიერების აღდგენა-აღორძინებისთვის იღვაწებენ არა ვიღაც გადამთიელების ბოძებული საეჭვო ტრაფარეტებით, არამედ მამულიშვილურად. იქნებ თქვენი წერილის შემდეგ „შედრეკილ-შეშინებულმა“ ქართველებმა ხმა ამოიღონ და დაინახონ, რომ არასწორ გზას ადგანან. მისასალმებელია, განათლებისა და მეცნიერების მსახურთა ნაწილის დარწმუნება იმ ბოროტებაში, ნაცისტებმა რომ მოახვიეს თავს საქართველოს. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი გამრუდებული ხაზის გასწორება.

აკად. ნოდარ ცინცაძის ნააზრევი საყოველთაო განხილვის საგანი უნდა გახდეს. „უსწავლელი სწავლულების“ მიერ გაუფასურებულ-დაკნინებული განათლება და მეცნიერება შველას საჭიროებს და მისი უყურადღებოდ დატოვება დაშვებულ გაუმართაობას კიდევ უფრო გაზრდის. უნივერსიტეტის მოქმედ ან გაემერიტუსებულ პროფესორებს ეყოფათ გამბედაობა გამოთქვან თავიანთი მოსაზრება? როდის დაარღვევენ დუმილს და ჩადგებიან სიმართლის სამსახურში?

ჩვენთვის ცნობილია მრავალი, უნივერსიტეტიდან ნაცისტური რეჟიმის მიერ მოკვეთილთა საქვეყნოდ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც უფრო მწვავედ განიხილავდნენ საერთო სატკივარს, მაგრამ ოლიმპოზე მდგომი გამრიგენი უბრალო მოკვდავებისთვის ვერ იცლიდნენ. მათი ხმა კედლის მეორე მხარეს არ ესმოდა (ახლა ესმით?). გვახსოვს ცივსისხლიანი არსებები, რომლებიც დაუნდობლად გესლავდნენ ყოველივე ეროვნულს. საყოველთაო ზარ-ზეიმით გვილოცავდნენ ახალი ეპოქის დადგომას. სინამდვილეში მივიღეთ სიყალბეზე აგებული გაუგებრობა, რომლის აპოლოგეტები დღესაც ეროვნული გმირების პოზით ყელყელაობენ. სიმართლის განმკითხავი არ ჩანს. ადამიანის ბუნება არაადამიანურ მოპყრობასაც უძლებს. შორს რომ არ წავიდეთ, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია ბოლო ათი წელიც. თითქოს დაიძრა ახალი იმედების ტალღა. რა იქნება ხვალ? საქართველოს Via dolorosa გრძელდება (დასრულდება?).

გრანი ძავთარია,
პროფესორი, ისგორიის მეცნიერებათა დოქტორი.

P. S. უნივერსიტეტში დღეს მიმდინარე ამბები არის იმ გაუკუღმართებული რეფორმების პირდაპირი შედეგი ნაცისტების მძვინვარების ხანაში, შემთხვევითმა პირებმა რომ გაატარეს. ეშმაკის ნაშიერთა დატოვებული კანონების გადასინჯვის მოთხოვნა სტუდენტებზე ადრე პრივილეგირებულ პროფესორთა კორპუსს უნდა დაესვა (უნივერსიტეტის გარეთ მყოფებს ამისი არც სტატუსი აქვთ და არც არავინ უსმენდა. ჩვენი ხმა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინაა“). საქმისთვის სერიოზულად თავი არავინ შეიწუხა, ალბათ, ეგონათ მათი მფარველი ნაცისტური რეჟიმი უპირატესობას მაინც შეინარჩუნებდა, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ.

დღევანდელი სტუდენტების მისამართით თავისუფლად შეიძლება ითქვას — „ის ურჩევნია მამულსა“... ახალგაზრდებო! ღმერთი იყოს თქვენი მფარველი და გზის მანათობელი.

გ. ძ.

◎ თვალსაწიერი

პირველყოფილებისა და ცივილიზაციის ჭიდილი

პაატა ჩხეიძის საჯარო ლექცია ჯოზეფ კონრადზე

მართალია, ფართო მკითხველის მწერალი არ არის, მაგრამ მისი სახელი ქართულ ლიტერატურულ სივრცეში მაინც ნაკლებადაა ცნობილი.

არადა, **უილიამ ფოლკნერი ჯოზეფ კონრადს** ერთ-ერთ უდიდეს მწერლად აღიარებდა და მიაჩნდა, რომ თვითონ სულაც მის კვალზე იდგა.

ძალიან აფასებდა **ტომას სტერნზ ელიოტიც**, რომელმაც თუნდ ლექსი **„კაცის ფიტულები“** კონრადის ერთი მოთხრობის შთაგონებით შეთხზა.

ამ ავტორის ყველაზე გახმაურებული რომანი **„ლორდი ჯიმი“** ქართულად ორჯერ ითარგმნა: ჯერ 80-იან წლებში დაიბეჭდა ჟურნალ **„საუნჯეში“ ზაურ კილაძის** თარგმანი, ახლახან კი **ნინო ჯაყელმა** შესთავაზა ქართველ მკითხველს. მალე წიგნად გამოიცემა **პაატა და როსტომ ჩხეიძეების** მიერ თარგმნილი სამი თხზულებაც: **„პრინცი რომანი“, „წყვდიადის გული“** და **„დუელი“,** რომელთაგან პირველიც დაბეჭდილია ჟურნალ **„ჩვენი მწერლობის“** ფურცლებზე, ორს კი



წიგნის მეშვეობით გაეცნობა მკითხველი.

ხოლო მანამდე ბატონმა პაატამ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში საჯარო ლექცია გამართა თემაზე: **„ჯოზეფ კონრადი ევროპული მოდერნიზმის სათავეებთან“** და შეკრებილთათვის შეაფასა ამ მწერლის შემოქმედებითი ღვაწლი.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების – იმავე ჟურნალ **„ჩვენი მწერლობის“** – თაოსნობით გამართული შეკრება **როსტომ ჩხეიძემ** გახსნა და მოკლედ ისაუბრა ჯოზეფ კონრადის როლზე მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებში. **პაატა ჩხეიძემ** კი თავისი ლექცია ამ მწერლის ბიოგრაფიული დეტალების მიმოხილვით დაიწყო და თავგადასავლებით სავსე ცხოვრებასთან ერთად, მისი პიროვნული შტრიხებიც გამოკვეთა, ლიტერატურული მოღვაწეობაც და შეკრებილებს ფართო რაკურსით წარუდგინა წარმოშობით პოლონელი მწერალი, რომელმაც ბრიტანეთის მოქალაქეობა არჩია სამშობლოში მოღვაწეობას (თუმც ინგლისური ენა საკმაოდ გვიან შეისწავლა – 20 წლისამ, და თანაც უმთავრესად **უილიამ შექსპირის** პიესებსა და **ტომას კარლაილის** რომანზე – **„სარტორ რესარტუს“** – დაყრდნობით) და მთელი თავისი შემოქმედებითაც ინგლისურ ლიტერატურას უხადა ხარკი. ამის გამო იგი მაინცდამაინც არ უყვართ პოლონელებს, მიუხედავად იმისა, რომ პოლონურ ტკივილებსაც ეხმიანება, კერძოდ 1830 წლის ამბოხებას რუსეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ, ამბოხებას, რომელშიც მამამისიც მონაწილეობდა.

თუმცა, ამასთანავე ერთ-ერთი პირველიც დადგა მოდერნიზმის სათავეებთან და მსოფლიო ლიტერატურისათვის განსაზღვრა ამ მიმართულების მთავარი ტენდენციები.

XX საუკუნის დასაწყისში, როცა არაერთი ლიტერატურული გაერთიანება შეიქმნა და დაიწყო ძიებანი ამ ასპარეზზე, კონრადს (რომელიც, სხვათა შორის, გაერთიანებული გახლდათ მწერალთა საკმაოდ ძლიერ ჯგუფში, მოგვიანებით ყველა კლასიკოსად რომ შეირაცხა: **სტივენ კრეინი, რობერტ ლუის სტივენსონი, ჰერბერტ უელსი და ჰენრი ჯეიმზი)** ახალი სუნთქვა შემოაქვს სამწერლო პროცესებში: იგი უარყოფს იმას, რაც დამახასიათებელია ვიქტორიანული ეპოქის ინგლისური რომანისათვის, – კერძოდ, თანმიმდევრულ თხრობას – და იწყებს ლიტერატურის სიღრმეებში ჩასვლას, გამოხატვის ახალი ხერხების ამოზიდვას და წინამოდერნისტული ნარატივის ტექნიკის დამკვიდრებას, რომელსაც მოგვიანებით მოდერნისტები მოიმარჯვებენ ოსტატურად.

ბატონმა პაატამ შეკრებაზე ამ ხერხების, გადახვევებისა თუ წიაღსვლების ნიმუშებიც მოიტანა ჯოზეფ კონრადის შემოქმედებიდან. მის ნეორომანტიკულ ტენდენციებზეც ისაუბრა, ზღვის თემასაც შეეხო, რაკი ზღვა მის პერსონაჟადაც ქცეულა, მეგობრადაც და ერთგვარ შემოქმედებით კონცეფციადაც, რადგან იშვიათად თუ ვითარდება მის თხზულებებში მოქმედება ხმელეთზე; შორეულ და ეგზოტიკურ მხარეებსაც მისწვდა, რომლებსაც აღწერს კონრადი თავის თხზულებებში. თუმცა, ძირითადი ყურადღება მაინც იმაზე გაამახვილა, რომ ეს მწერალი არა მხოლოდ ფაბულის თვალსაზრისით, მენტალურად და ფსიქოლოგიურადაც განმსაზღვრელია მოდერნისტული მიმართულებისა არა მხოლოდ ინგლისურ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში.

მსჯელობის შუაგულში მოაქცია ვრცელი მოთხრობა **„წყვდიადის გული“** (სწორედ ის, განსაკუთრებით რომ მოხიბლა ტომას ელიოტი), როგორც ცივილიზაციისა და პირველყოფილების მწვავე დაპირისპირება და რღვევა ბუნებრიობისა სამართლიანობისა და დემოკრატიის სახელით, მისტერ კურცი რომ ახორციელებს – ნიცშეანური გმირი.

„პრინცი რომანი“ გამორჩეულად მახლობელია ჩვენთვის, რადგანაც მის ისტორიულ ფონს ქმნიან ის რეალურად არსებული ადამიანები, რომელთა ერთი ნაწილიც, საქართველოში გადმოსახლებული, აქტიურად იყო ჩაბმული 1832 წლის შეთქმულებრივ მოძრაობაში **ელიზბარ ერისთავის** უშუალო ხელმძღვანელობით.

„დუელი“ კი ერთგვარი სატირაა ამ მოვლენაზე, მისი გადაგვარების სურათს, ხელშესახებად რომ წარმოაჩენს.

ბატონმა პაატამ შეკრებაზე შეკითხვებსაც უპასუხა და დისკუსიაც გამართა, რომელიც გასცდა ჯოზეფ კონრადის შემოქმედებას, თარგმანის ხელოვნებისა თუ, საერთოდ, ლიტერატურის ფარგლებს და პოლიტიკურ სივრცეებსაც შეეხო. ამ დისკუსიაში კი მონაწილეობდნენ: **ნიკოლოზ სანებლიძე, ვახტანგ ბახტაძე, ინგა მილორავა, მარინა ტურავა, ნინო ბაქანიძე, ჯემალ ფოცხვერია** და **ნარგიზა ჭელიძე,** – რომელთაც საგულისხმო დაკვირვებების გაზიარებით, ძალდაუტანებლად შეავსეს ეს არაორდინარული ლექცია, რომელმაც ცხადყო, რაოდენ საშური და აუცილებელია ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში ჯოზეფ კონრადის შემოქმედებითი მონაპოვრის დამკვიდრება **(მედიანიუსი).**

უცხოელი არტისტები კვლავ გვეწვევიან

აპრილიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით უმაღლესი კლასის არტისტების მონაწილეობით კულტურული ღონისძიებების სერია განხორციელდება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, მთავრობა განიხილავს რესურსების გამოყოფის საკითხს კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

* * *

პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთი სიახლის შესახებ ისაუბრა – 22-წლიანი დევნილობის შემდეგ დღეს, პირველად თბილისში, ახალაშენებულ კორპუსში, 126 დევნილ ოჯახს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცემა საცხოვრებელი ბინა.

ქართული ჩაის რეაბილიტაციის პროგრამა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 15 იანვარს ჩაის პლანტაციების რეაბილიტირების პროგრამა „ქართული ჩაი“ დაამტკიცა.

გუშინ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის საგენტოს პროგრამის „ქართული ჩაი“ მენეჯერმა ლევან ურუტაძემ, იმერეთის გუბერნატორის მოადგილეს პაატა ნადირაძეს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, ადგილობრივ კოოპერატივებს და ფერმერებს პროგრამა „ქართული ჩაი“ გააცნო.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ პროგრამის პირველი ეტაპის განხორციელება თებერვლის თვიდან დაიწყო და მისი მიზანია საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის ბიო ჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისთვის დაფინანსებას მიიღებენ იურიდიული პირები, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მეფუტკრეობის კოოპერატივებს სკები გადაეცათ

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მცხეთა-მთიანეთის რეგიონის 8 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრებს შეხვდა და მეფუტკრეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 600-მდე სკა გადასცა.

უწყების ინფორმაციით, შეხვედრაზე მინისტრმა საქართველოში მეფუტკრეობის დარგის განვითარების პერსპექტივებზე და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ამ მიმართულებით შემუშავებულ პროგრამაზე ისაუბრა.

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა ხელს უწყობს საქართველოში ხარისხიანი თაფლის წარმოებისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას. უწყებაში აცხადებენ, რომ პროგრამის ფარგლებში, მოხდება სკების რეგისტრაცია სპეციალური საღრიცხვო ბარათების საშუალებით, რაც თაფლის წარმოების მიკვლევადობას შეუწყობს ხელს. ეს, მნიშვნელოვანი წინაპირობაა ევროკავშირის ბაზარზე თაფლის ექსპორტის განხორციელებისთვის“.

პროგრამაში რეგისტრაციის პირველი ეტაპი გასული წლის ოქტომბერში დაიწყო და 31 დეკემბერს დასრულდა. პროგრამის ფარგლებში 98 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს 7588 სკა გადაეცემა. პროგრამის მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა ხის (რუტისა და დადანის სახეობის) სკები 120 ლარის ნაცვლად 36 ლარად მიიღეს, ხოლო პენოპოლისტიროლის სკები 260 ლარის ნაცვლად 78 ლარად. პროგრამაში ჩართვის მსურველთა რეგისტრაციის მეორე ეტაპი 29 თებერვალს დაიწყო და 16 მარტს დასრულდა.

„აღმოაჩინე საქართველო შენს სოფელში“

ახალი ტურისტული ადგილების შესწავლის მიზნით, მასშტაბური პროექტი იწყება. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით „ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრი TravelGIS და ტურისტული კომპანია „აღმოაჩინე საქართველო“ ერთობლივ მუშაობას იწყებენ.

პროექტის მიზანია, საქართველოში უცნობი ტურისტული რესურსების აღმოჩენა, შესწავლა, დამუშავება, დაზუსტებული ტურისტული რესურსების განთავსება მობილურ აპლიკაციაში TravelGIS და ვებპორტალზეც სამ ენაზე: ქართულად, ინგლისურად და რუსულად.

პროექტი ითვალისწინებს ტურიზმის სფეროში თვითდასაქმებული ადამიანების კონსულტაციას, ტრეინინგებს და მათი საქმიანობის პოპულარიზაციას ტურიზმში ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით. ადგილობრივი მოსახლეობისთვის პროექტში ჩართულობა არის სრულიად უსასყიდლო.

აჭარის ტურისტულ პოტენციალს ყაზახი ჟურნალისტები გაეცნენ

აჭარას სარეკლამო ტურის ფარგლებში ყაზახი ჟურნალისტები და ტურისტული საგენტოები სტუმრობენ. ორდღიანი ვიზიტისას რეგიონის სტუმრები ბათუმის ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებენ, მაღალმთიან აჭარასა და ტრადიციულ სამზარეულოს გაეცნობიან. ისინი ასევე შეხვდებიან ადგილობრივი ტურ სააგენტოებისა და სასტუმროების წარმომადგენლებს სამომავლო თანამშრომლობისა და კავშირების დამყარების მიზნით.

სარეკლამო ტურის მონაწილეები ბათუმში ჩამოსვლამდე თბილისის ტურისტულ პოტენციალსაც გაეცნენ. ისინი საქართველოში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტისა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით იმყოფებიან.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ოდესაში შეაგროვეს 30 ათასი ხელმოწერა მიხეილ სააკაშვილის გადადგომისთვის

მისი მოადგილე კი საქალაქო საბჭოს სხდომიდან ხელით გამოიტანეს

30 ათას მეტმა კაცმა მოაწერა ხელი პეტიციას მიხეილ სააკაშვილის გადადგომის შესახებ ოდესის საოლქო-სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტიდან. ამის შესახებ განაცხადა უმაღლესი რადის „პიოტრ პოროშენკოს ბლოკის“ დეპუტატმა დმიტრი გოლუბოვმა.

მისი სიტყვებით, ბატონ სააკაშვილს „თავისი მუშაობის ერთი წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია და არც იმისთვის უზრუნია, რომ როგორმე გაუმჯობესდეს ხალხის ცხოვრება“. უკრაინის პრეზიდენტის პიოტრ პოროშენკოს პრესმდივანმა ადრე უარყო ხმები პოლიტიკოსის მალე გადაყენების შესახებ. სხვათა შორის, ზემოქმედება მიხეილ სააკაშვილზე ამას არ შეუმცირებია: მისი მოადგილე ალექსანდრ ბოროვიკი, ერთ-ერთი ოდესელი დეპუტატი, დარბაზიდან ხელში აყვანილი გამოიტანეს.

„მას ოდესა-რენის ტრასის ერთი მეტრიც არ გაუყვანია, მან ჩაშალა მუშაობა საბაჟოში, კორუფციაა მის მრჩევლებს შორის, რომლებიც სტყუებენ ფულს მეწარმეებს, ქრთამებს ქალაქის ბიზნესმენებს — ასეთი კომენტარი გაუკეთა ხელმოწერების შეგროვებას დმიტრი გოლუბოვმა. გამოძალვა, ქრთამი და კორუფცია — ესაა ყველაფერი, რითაც სააკაშვილია ცნობილი.

მის მიერ ორგანიზებული ხელმოწერების შეგროვება პოლიტიკოსის გადადგომის მოთხოვნით გრძელდება 3 მარტიდან, ამ მომენტისათვის კი, მისი სიტყვებით, შეგროვებულია 30 ათასზე მეტი ხელმოწერა. წერილობით რომ დადასტურო შენი უპატივცემლობა ოდესის გუბერნატორისადმი, შეიძლება 15 კარვიდან ერთ-ერთში, რომლებიც განთავსებულია ოდესის ყველაზე გაცხოველებულ ქუჩებში.

დმიტრი გოლუბოვის კამპანია უფრო სიმბოლურია. 15 მარტს უკრაინის პრეზიდენტის პიოტრ პოროშენკოს პრესმდივანმა სვიატოსლავ ცეგოლკომ განაცხადა, რომ სახელმწიფოს მეთაური კონტაქტშია მიხეილ სააკაშვილთან და მის გათავისუფლებას არ აპირებს. **„პრემიერს ჰქონდა სატელეფონო საუბარი მიხეილ სააკაშვილთან ოდესის ოლქის განვითარების პერსპექტიული პროექტების შესახებ,** — დაწერა ფეისბუქში პრესმდივანმა. **— ყველა „ცნობა“ ოდესის საოლქო-სახელმწიფო ადმინისტრაციის მეთაურის გადადგომის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს“.**

ხელმოწერების შეგროვება მცდელობით ჩამოიშორონ ოდესის გუბერნატორი — არ იზღუდება. ოდესის საოლქო-სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრ ბოროვიკი ოდესის პარლამენტის დეპუტატმა დმიტრი პალპატინმა სხდომიდან პირდაპირ ხელით გამოიყვანა, თანაც წინასწარ შეეცადა გადაეცა მისთვის თეთრი ქრიზანთემების თაიგული. ფაქტობრივად, მან შეძლო წარმატებით გაემეორებინა უმაღლესი რადის დეპუტატის ოლეგ ბარნას საქციელი, რომელიც შეეცადა ასევე ფიზიკურად ჩამოეშორებინა უკრაინის პარლამენტის ტრიბუნიდან პრემიერ-მინისტრი არსენი იაცენიუკი.

მიხეილ სააკაშვილმა უკვე განაცხადა, რომ მომხდარს აფასებს, როგორც თავდასხმას. **„ის (ალექსანდ ბოროვიკი-რედ.) ამბობს იმას, რასაც ოდესელები ლაპარაკობენ. კერძოდ, რომ ქალაქში საშინელი ინფრასტრუქტურაა, ფულს იპარავენ, რომ ხელისუფლება ქალაქში ჩაიგდეს ყალთაბანდებმა, ქურდებმა, ბანდიტურმა რაზმებმა, რომლებიც ითვისებენ პროექტებს, ფულს“,** — განაცხადა ოდესის გუბერნატორმა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ სააკაშვილი არის მეორე პოპულარობის მიხედვით, კანდიდატი მოქმედი პრემიერ-მინისტრის არსენი იაცენიუკის შეცვლაზე უკრაინის მოქმედ პოლიტიკოსთა შორის. **გამოკითხვაში, რომელიც წინა დღეს მოაწყო კიევის სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტმა, ასეთი სახით მას უყურებს გამოკითხულთა 9,9 პროცენტი. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის წინ მხოლოდ იულია ტიმოშენკოა ხმების 12,9 პროცენტით. ამ დროს 27,7 პროცენტმა განაცხადა, რომ არც ერთი შემოთავაზებული უკრაინელი პოლიტიკოსი მათ ხელს არ აძლევს.**

Коммерсантъ

სახელმწიფო მდივანი კერი ზაფხულში საქართველოს ეწვევა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ზაფხულში ეწვევა საქართველოს ოფიციალური ვიზიტით. ამის შესახებ მან განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან მიხეილ ჯანელიძესთან შეხვედრის შემდეგ ვაშინგტონში.

„კიდევ ერთხელ მინდა, ვთქვა ჩემი განზრახვის შესახებ, ჩავიდე საქართველოში — ეს იქნება ივნისში ან ოდნავ მოგვიანებით, ჩვენ ამაზე ვმუშაობთ, ვინაიდან საქართველო არის მნიშვნელოვანი მეგობარი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და გვინდა, დავარწმუნოთ ქართველი საზოგადოება ჩვენს მტკიცე მხარდაჭერაში მათს ბრძოლაში სრული დამოუკიდებლობისათვის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის“, — განაცხადა კერიმ ჯანელიძესთან ერთობლივ ბრიფინგზე 15 მარტს.

თავის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა კერის საქართველოსთვის გამოთქმული მხარდაჭერისათვის. მისი სიტყვებით, საქართველოს წარმატება მრავალ სფეროში განპირობებული იყო სწორედ შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობით.

„ეს არის ჭეშმარიტი მეგობრობა, რომელიც ემყარება საერთო ღირებულებებსა და ინტერესებს. ჩვენ ვაგრძელებთ ერთობლივ მუშაობას და მადლობელი ვართ მხარდაჭერისათვის, რასაც გვიწევენ შეერთებული შტატები და ამერიკელი ხალხი იმ პროგრესის მიღწევაში, რაც დღეს სახეზეა“, — განაცხადა ჯანელიძემ.

ქართველი პოლიტოლოგი ზაალ ანჯაფარიძე მიიჩნევს, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ 4 წლის წინათ ქვეყნის დამოკიდებულება ამერიკის შეერთებულ შტატებთან ვითარდება უმთავრესად „ინერციით, რაც ჩვენ მივანიჭეთ ამ ურთიერთობებს ადრე“. მისი სიტყვებით, სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის ვიზიტი თბილისში იქნება „მნიშვნელოვანი სიგნალი, მით უმეტეს, რომ ეს მოხდება პარლამენტის არჩევნების წინ, რომელიც საქართველოში ოქტომბრის დასაწყისში გაიმართება.

„საქართველოს ხელისუფლება უფრო ინტენსიურ ურთიერთობებში უნდა იყოს ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფებებთან და ამერიკის შეერთებულ შტატებში გავლენის ჯგუფებთან, მოახდინოს ურთიერთობის არხების დივერსიფიცირება“, — მიაჩნია ექსპერტს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორი კორნელი კაკაჩია მიიჩნევს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან კვლავ გრძელდება და, როგორც ძველად, არის „უმნიშვნელოვანესი ფაქტორი“ საქართველოს განვითარებისათვის, მიუხედავად ამისა, ამბობს ექსპერტი, უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებში შეინიშნება გარკვეული დაცემა.

პოლიტოლოგის სიტყვებით, ეს უფრო მეტად დაკავშირებულია ბარაკ ობამას ადმინისტრაციის დამოკიდებულებასთან მთლიანად პოსტსაბჭოთა ქვეყნებისადმი. კერძოდ, ამტკიცებს კაკაჩია, ახალმა ადმინისტრაციამ უპირატესობა მიანიჭა realpolitik-ის მიმართულებას — ესე იგი, აწარმოოს პოლიტიკა, უწინარეს ყოვლისა, პრაქტიკული მოსაზრებით. თუ შევადარებთ როლს, რასაც საქართველო ასრულებდა ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაციის დროს, ობამას დროს, მიაჩნია პოლიტოლოგს, საქართველომ დაკარგა „ყოფილი პრიორიტეტულობა“.

შედეგად, მიაჩნია ექსპერტს, ეს აისახა შეერთებული შტატების რიტორიკაზეც. მაგალითად, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები ლაპარაკობს კრიზისზე უკრაინაში, ამტკიცებს კორნელი კაკაჩია, საკმაოდ „მსგავსი“ პრობლემები საქართველოში გაისმის სულ უფრო იშვიათად, ვინაიდან, მიაჩნია პოლიტოლოგს, უკვე ანგარიშს არ უწევენ საკითხებს, რომლებიც მეტ ყურადღებას მოითხოვენ.

„ჩემი აზრით, ეს წამგებიანია საქართველოსთვის“, — ამბობს ექსპერტი.

რაც შეეხება საქართველოში სახელმწიფო მდივნის კერის ვიზიტს, კორნელი კაკაჩიას იგი მიაჩნია მნიშვნელოვნად, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ იგი გაიმართება წინასაარჩევნო პერიოდში, სწორედ მაშინ, როდესაც ქვეყანაში ელოდებიან ესკალაციას პოლიტიკურ ძალებს შორის. როგორც ექსპერტი ამბობს, იმის გარდა, რომ ამით შეერთებული შტატები გამოხატავს საქართველოს მხარდაჭერას, ეს ასევე გარკვეული ნიშანი იქნება რუსეთისთვისაც, ესე იგი, იმის დადასტურება, რომ საქართველომ არ დაკარგა აქტუალობა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ათასობით ბრაზილიელი გამოვიდა საპროტესტო აქციაზე ქვეყნის ექსხელმძღვანელის კორუფციაში ეჭვის გამო

მოქმედი პრეზიდენტის დილმა რუსეფის ეს ნაბიჯი იცავს თავის წინამორბედს სისხლის სამართლის დევნისაგან მასშტაბური კორუფციული სკანდალის ფარგლებში. თავის მხრივ, ლულამ შეიძლება ისარგებლოს თავისი გავლენით და თავიდან აიცილოს რუსეფის იმპიჩმენტი.

ანკარაში გერმანიის საელჩომ ტერორისტული აქტის საფრთხის გამო შეაჩერა მუშაობა

13 მარტს ანკარის მთავარ ქუჩაზე გაისმა აფეთქების ხმა, დაიღუპა 37 კაცი. 17 მარტს პასუხისმგებლობა ტერორისტულ აქტზე იკისრა დაჯგუფებამ „ქურთისტანის თავისუფალი ქორები“.

ამერიკელ გენერალს ეჭვი შეეპარა ამერიკის არმიის უნარში, წარმატებით იომოს რუსეთისა და სხვა „დიდი სახელმწიფოების“ წინააღმდეგ

კონგრესში მოსმენის დროს ამერიკის შეერთებული შტატების სახმელეთო ჯარების შტაბის ხელმძღვანელმა მარკ მილიმ განაცხადა, რომ რესურსებისა და მომზადების უკმარისობა გავლენას ახდენს ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მზადყოფნაზე, რომელსაც არ შეუძლია ეფექტიანად დაუპირისპირდეს ჩინეთს, ირანს ან ჩრდილოეთ კორეას. ამერიკის შეერთებული შტატების ავიაცია ასევე არასათანადოდაა მომზადებული ებრძოლოს რუსულ თვითმფრინავებს.

რუსეთმა საზენიტო თვითმფრინავები ერაყელ ქურთებს მიაწოდა. ფედერალურ საბჭოში აყენებენ წინადადებას მხარი დაუჭირონ სირიელებსაც

ქურთებს ერაყში მიაწოდეს ხუთი საზენიტო დანადგარი, რომლებითაც შეიარაღებული იყო ჯერ კიდევ სსრ კავშირი. ეს თვითმფრინავები არიან საიმედო და ადვილად სარემონტო. ასეთ თვითმფრინავს ვერ ჩამოაგდებ, მაგრამ მათ შეუძლიათ გაანადგურონ სახმელეთო ჯავშნიანი მიზნები ან შვეულმფრენები.

ობამამ შემოიღო ახალი სანქციები ჩრდილოეთი კორეის წინააღმდეგ

როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯოშ ერნესტმა განაცხადა, ამის მიზეზი გახდა ფხენიანის მიერ ბალისტიკური რაკეტებისა და ბირთვული ბომბების გამოცდები. შეზღუდვები შემოღებულია ჩრდილოეთი კორეის მთავრობის 17 წარმომადგენლისა და ორგანიზაციის მიმართ, აგრეთვე ბანკებისა და ქვეყნის სავაჭრო ხომალდების მიმართ.

უაზახეთში სახელმწიფო მოსამსახურეებს აუკრძალეს სამსახურში სმარტფონებისა და გაჯეტების მიტანა

აკრძალვა ეხება ყველა მოწყობილობას, რომლებიც აღჭურვილია ინტერნეტმოდულებით, აგრეთვე ფოტო და ვიდეოკამერებით. ხელისუფლების სიტყვებით, ეს ზომები შემოიღეს მობილური დამატებების საშუალებით სასამსახურო ინფორმაციის გადინების გახშირებულ შემთხვევებთან დაკავშირებით.

◎ როგორ შევხვდეგით ფრანკფურტის ბაზრობას?

...როცა მთავარი მოთამაშე ავტორი და გამომცემელია

2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით წარსდგება. ეს ძალიან დიდი გამოწვევაა საქართველოს წიგნის სექტორისთვის, მით უფრო იმის გათვალისწინებით, როგორი ახალგაზრდა და თვითმყოფადია ქართული საგამომცემლო სივრცე.

„ამ დონის მასშტაბური საერთაშორისო პროექტი კულტურის მიმართულებით ჯერ არ განხორციელებულა, – ამბობს ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის დირექტორი **დეა მეტრეველი,** – ფრანკფურტი თავისთავად გახლავთ ევროპის კულტურულ-ფინანსური ცენტრი, ამიტომაც ჩვენთვის ეს არა მხოლოდ კულტურული პლატფორმაა, არამედ მას პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობაც ენიჭება“.

ამის პარალელურად ყოველდღიურად გვესმის, თუ როგორ უჭირს საგამომცემლო სექტორს, თუ როგორ დააზარალა გამომცემლები „უფასო სახელმძღვანელოების“ სახელმწიფო პროგრამამ, შემოსავლები შეუმცირდათ, ზოგიერთი გაკოტრდა და დაიხურა კიდეც. ასევე დაიხურა რამდენიმე წიგნის მაღაზია... არადა, ქართველი გამომცემლების ჩართულობისა და პროდუქტიული მუშაობის გარეშე რომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე წარმატება წარმოუდგენელია, ესეც ფაქტია. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე დაახლოებით 100-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს. საქართველოს, როგორც საპატიო სტუმრის სტატუსის მქონეს, მთელი წლის განმავლობაში მოუწევს კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა, და არა მარტო წიგნის სფეროში. აუცილებელია სხვადასხვა გამოფენის გამართვა, კონცერტების, საღამოების მოწყობა, ქართული კულტურის შესახებ პრეზენტაციები და ა. შ. თუმცა, დამეთანხმებით, რომ ამ ყველაფერს საკმაოდ სოლიდური თანხა სჭირდება.

„ძალიან დიდი ასპარეზი გვეძლევა იმისთვის, რომ ეს შესაძლებლობა ქართული საგამომცემლო სფეროსა თუ ზოგადად მთელი ქართული კულტურის წარმოსაჩენად გამოვიყენოთ. როცა ქართული დამოუკიდებელი საგამომცემლო სივრცე ახალფეხადგმულია, დამეთანხმებით, რომ საქართველოს, როგორც საპატიო სტუმარი ქვეყნის, წარდგენა ფრანკფურტში ჩვენი უცხოელი კოლეგების მხრიდან დიდი რისკი იყო და შესაძლოა, ერთგვარი ექსპერიმენტიც კი, – აღნიშნავს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის პრეზიდენტი **გვანცა ჯობავა,** – ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ გავამართლებთ მათ იმედებს. ცხადია, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ჩვენი მდიდარი კულტურული წარსულის წარმოჩენას, თუმცა, ამ ბაზრობაზე უმთავრესი აქცენტი კეთდება თანამედროვეობაზე, იმაზე, რაც დღეს იქმნება. დღეს კი, შექმნილი ფინანსური პრობლემების გამო, ქართველ გამომცემლობებს სულ უფრო მეტად უჭირთ თანამედროვე ქართველი ავტორების წიგნების გამოცემა, ვინაიდან არსებული გამოცდილებით, ეს არაკომერციულია და ერთგვარ „ფუფუნებად“ მიიჩნევა. არადა, ვინაიდან ჩვენ წიგნის ბაზრობაზე ვსაუბრობთ, პრიორიტეტი სწორედ წიგნს ენიჭება, თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. აღნიშნული პროექტი არ გახლავთ ერთჯერადი ტურისტული ხასიათის ღონისძიება, მან შედეგად სამომავლოდ ქართულ ლიტერატურას, ქართველ ავტორებსა და გამომცემლებს საერთაშორისო ასპარეზზე უნდა გაუკაფოს გზა და ამ სფეროს მკვეთრი წინსვლა და განვითარება გამოიწვიოს.

წარუმატებლად ან არაეფექტიანად ჩატარებული ღონისძიების შემთხვევაში კი, პირიქით, შეიძლება უკურეაქციაც კი მივიღოთ. ამიტომაც, აუცილებლად მიმაჩნია, რომ ჩვენმა მთავრობამ ამ პროექტისთვის გაღებულ ინვესტიციას მაქსიმალურად ფუნქციური მიმართულება მისცეს, მეტად გაამახვილოს ყურადღება იმ პარალელურ მოვლენებზე, რაც პროექტის ეფექტიანად ჩატარებას აშკარად ხელს უშლის“.

ბუნებრივია, ეს გაცნობიერებული აქვს კულტურის სამინისტროს, ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრს, რომელთაც უშუალო და ხშირი შეხება აქვს გამომცემლებთან. თუმცა, გამომცემელთა ფინანსური უზრუნველყოფა ის კომპონენტია, რომელთა გადაჭრის კომპეტენცია მათ არა აქვთ. „ვითარება მართლაც ძალიან მძიმეა, – ამბობს დეა მეტრეველი, – რა თქმა უნდა, გამომცემელთა ფინანსური კრიზისი არასახარბიელოა იმ ფონზე, როცა სახელმწიფო ასე მოწადინებული და ორიენტირებულია საგამომცემლო სექტორის ხელშესაწყობად სასკოლო სახელმძღვანელოების გარშემო არსებულმა ახალმა რეალობამ საკმაოდ დააზარალა ის ქართველი გამომცემლები, რომლებიც სასკოლო სახელმძღვანელოებს გამოსცემდნენ. ჩვენ ვცდილობთ, ჩვენივე რესურსით შევუწყოთ ხელი. გამოვაცხადეთ კონკურსი „უცხოური ლიტერატურა თარგმანში“ და შარშან 15 პროექტი დავაფინანსეთ, წელსაც ამდენივე. ეს ერთგვარი სტიმულია იმ გამომცემლებისთვის, რომელთაც არა აქვთ ფუფუნება, ბევრი კარგი უცხოელი ავტორი გამოსცენ თარგმანებში“.

2018 წლამდე, წლეულსაც, ბუნებრივია, ფრანკფურტში ყოველწლიური ბაზრობა გაიმართება. მაგალითად, 2014 წელს თუ ფრანკფურტში ჩასვლა 20-მა გამომცემელმა მოახერხა, შარშან მხოლოდ 9 გამომცემელმა შეძლო ღონისძიების დაფინანსება საკუთარი სახსრებით. თუკი წიგნის სტენდზე სიხალვათე იქნება, დამეთანხმებით, ეს არ წაადგება ქართველ გამომცემელთა პრესტიჟს. „საერთაშორისო ბაზრობებზე ქართველ გამომცემელთა რიცხვი სულ უფრო მცირდება. სტენდები, რა თქმა უნდა, ცარიელი არ არის, მაგრამ, სამწუხაროა, რომ იქ ბევრი გამომცემელი ვერ ახერხებს ჩასვლას, ხარჯების გაღებას. ჩვენი ცენტრი ყოველ ჯერზე აყენებს ამ პრობლემას ფრანკფურტის პროექტის საორგანიზაციო კომიტეტთან, მუდმივად გადის კონსულტაციებს აღნიშნული საკითხის განსახილველად. ჩვენ ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ წიგნის ბაზრობაზე მთავარი ფოკუს მოთამაშე ავტორი და გამომცემელია. ამდენად, სერიოზული დისკუსიები გვაქვს ამ თემაზე და იმედია, ახლო მომავალში გამოიძებნება გზა, თუ როგორ შეიძლება ამ საკითხის მოგვარება, რა რესურსებით შეიძლება მოვახერხოთ ფრანკფურტში გამომცემელთა ღირსეული წარდგენა და მონაწილეობა“, – აცხადებს დეა მეტრეველი.

უცხოეთში ეროვნულ სტენდებს მთლიანად კულტურის სამინისტრო აფინანსებს. ადრე ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე სტენდი 40 კვ.მ. შეადგენდა, შემდეგ 72 კვ.მ. თუმცა, 2018 წელს, როგორც სტუმარი ქვეყნის სტატუსის მფლობელისთვის, სტენდის ფართი 200-300 კვ. მეტრი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, სტენდი წიგნებით უნდა შეივსოს. როგორც დეა მეტრეველი აღნიშნავს: „ეროვნულ სტენდზე ქვეყანა წარმოადგენს მთელ თავის საგამომცემლო სექტორს. წიგნის თაროს შევსების პრობლემა მართლა არ არის, მაგრამ იქ საჭიროა წარმოდგენილი იყვნენ ცოცხალი ადამიანები, ავტორები, გამომცემლები. წელში გამართული საგამომცემლო სექტორი“.

სანამ საგამომცემლო ბიზნესი ჯერ კიდევ ფეხზე დგას, ალბათ, უპრიანია, უფრო კომპლექსურად შეხედოს ხელისუფლებამ ამ პრობლემას. ქართული კულტურა წიგნიერებაზე დგას, წიგნიერება – წიგნზე, ხოლო წიგნს – ავტორები და გამომცემლები ქმნიან, რითაც მსოფლიოში თავს ვიწონებთ... მითუმეტეს, როცა 2018 წელს, ფრანკფურტში, სწორედ წიგნმა უნდა გაგვითქვას სახელი!!!

თეა ბოსია

საქმე №1/04-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 19 თებერვალი 2016 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „KAPI“
საარბიტრაჟო მოპასუხე: დავით ბენდელიანი, რევაზ ხაზარაძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შპს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს მიერ 2016 წლის 4 იანვარს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „KAPI”-ს სარჩელი მოპასუხე დავით ბენდელიანისა და რევაზ ხაზარაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 4 მარტს შპს „KAPI”-სა და დავით ბენდელიანს შორის დაიდო №1.21.24 საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისა და №1.21.24-1 გირავნობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „KAPI”-მ მსესხებელზე გასცა 3000 ლარის ოდენობით სესხი, ყოველდღიური 0.17 საპროცენტო სარგებლით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 02.04.2014წელი.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა ძირი თანხის 0.15% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2014 წლის 4 მარტს ერთის მხრივ, შპს „KAPI”-სა და მეორეს მხრივ, რევაზ ხაზარაძეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე დავით ბენდელიანს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე რევაზ ხაზარაძეს სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე დავით ბენდელიანისა და რევაზ ხაზარაძეს მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე დავით ბენდელიანი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ ცხოვრობს და მოპასუხე რევაზ ხაზარაძე რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე დავით ბენდელიანსა (პ/ნ 27001006725) და რევაზ ხაზარაძეს (პ/ნ 01005025345) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს წარმოებაშია შპს „KAPI”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით დავით ბენდელიანისა და რევაზ ხაზარაძის მიმართ.

2. დავით ბენდელიანსა და რევაზ ხაზარაძეს განემარტოთ, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე დავით ბენდელიანსა და რევაზ ხაზარაძეს ეცნობოთ, რომ 2016 წლის 11 აპრილს 11:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „KAPI”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით დავით ბენდელიანისა და რევაზ ხაზარაძის მიმართ.

5. დავით ბენდელიანსა და რევაზ ხაზარაძეს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ სპორტული ტანვარჯიში

სიჭინავას „ბრინჯაო“

ბელარუსის დედაქალაქმა მინსკმა სპორტულ ტანვარჯიშში ოლიმპიური ჩემპიონის — ანტონინა კოშელის თასის გათამაშებას უმასპინძლა. შეჯიბრებაში ბელარუსის, საქართველოს, რუსეთის, უკრაინისა და ლიტვის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ქართველთაგან ჭაბუკებში გამოირჩა ბიძინა სიჭინავა, რომელმაც მრავალჭიდში 72.600 ქულით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. პირველ-მეორე ადგილებზე მასპინძლები — რომან ანტროპოვი (80.100) და სვიატოსლავ გრანიცკი (77.900) გავიდნენ. ამავე ასაკში გოგონათა შორის თბილისელი მარია ბუცკიხი 48.700 ქულით მე-6 იყო, ქრისტინე მორჩაძეს (46.300) მეათე ადგილი ხვდა. ყველას უკრაინელმა დიანა ვარისკაიამ (55.800) აჯობა.

უფროსებში მაგდა რობაქიძემ 15 მონაწილეს შორის 46.450 ქულით მრავალჭიდში მე-7 ადგილი დაიკავა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე რუსი ევგენია შელგუნოვა (57.350) ავიდა.

ვაჟთა მრავალჭიდში 84.700 ქულით პირველი იყო რობერტ ტვოროგალი (ლიტვა). **იოანე ჯიმშელეიშვილი** (68.500) და **საბა აბესაძე** (60.000), შესაბამისად, მოკრძალებულ მე-10 და მე-13 ადგილებზე გავიდნენ.

ლექსო ციწცაძე

სურათზე: ბიძინა სიჭინავა.

◎ სამთო თხილამურები

ქართველები უცხოურ ტრასებზე

იაპონიის სამთო კურორტ ჰონოკიდაირაში საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ეგიდით გამართულ ტურნირში სამთო თხილამურებში საქართველოს ნაკრების წევრმა ნინო წიკლაურმა იაპონელ საკურაკო მუკოგავასთან პირველი ადგილი გაიყო — მათ თანაბარი დრო აჩვენეს. მესამე იყო იაპონელი ჰარუნა იუმამოტო.

კურორტ ერზრუმში (თურქეთი) სამთო მოთხილამურეთა ტურნირში შვიდი ქვეყნის 75 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ბაკურიანელმა იასონ აბრამაშვილმა ასპარეზობის პირველ დღეს სლალომში მეორე ადგილი დაიკავა, მომდევნო ორ პაექრობაში სლალომსა და გიგანტურ სლალომში კი ყველას აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

გივი გაგუა

სურათზე: ნინო წიკლაური.

◎ ჭადრაკი

სწრაფი არაბიძე

საძართველოს მოჭადრაკე ქალთა 2016 წლის გრან პრიმ ბლიცში (თითოეული პარტიისთვის 3-3 წუთი ყოველ სვლაზე 2-2 წამის დამატებით) სხვადასხვა რეგიონის 30 წარმომადგენელს მოუყარა თავი. შვეიცარიული სისტემით ცხრა ტურში 7.5 ქულა მოაგროვა დიდოსტატმა მერი არაბიძემ (მან 6 პარტია მოიგო და 3 ყაიმით დასრულა) და პირველ ადგილზე გავიდა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა და მეორე იყო სოფიკო ხუხაშვილი. 6.5 ქულით მესამე ადგილი ინგა ჭარხალაშვილს ხვდა.

თამაზ პატარიძე

სურათზე: მერი არაბიძე.

◎ ჩემპიონთა ლიგა

ყველა მეოთხედფინალისტი ცნობილია

შესანიშნავი სპექტაკლი ორი უდიდესი გუნდის მონაწილეობით — შეიძლება, ასე დავასახასიათოთ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩი მიუნხენის „ბაიერნსა“ და ტურინის „იუვენტუსს“ შორის. მათი პირველი მატჩი ფრედ — 2:2 დასრულდა. ბევრს ეგონა, რომ ალმანებს „ალიანს არენაზე“ იოლი გასეირნება ექნებოდათ, მაგრამ იტალიელებმა 72 წუთის განმავლობაში მასპინძლები გააოგნეს —პოგბას და კუადრადოს გოლებით 2:0 დაწინაურდნენ. 73-ე წუთიდან კი მოედნის ბატონ-პატრონი გახდა „ბაიერნი“, რომელმაც ჯერ ძირითად, შემდეგ კი დამატებით დროში 2-2 ბურთი გამოატანინა სტუმრებს საკუთარი ბადიდან, გაიმარჯვა 4:2 და მეოთხედფინალში გავიდა.

„კამპ ნოუზე“ ესპანეთის „ბარსელონამ“ უპრობლემოდ მოუგო ინგლისის „არსენალს“ — 3:1 (1:0).

ამდენად, მეოთხეფინალში ითამაშებენ: „რეალი“, „ბაიერნი“, „პარი სენ ჟერმენი“, „ვოლსბურგი“, „ბენფიკა“, „მანჩესტერ სიტი“, „ბარსელონა“ და „ატლეტიკო“.

◎ წყალსა და წყალს მიღმა

მამუკა კელაურაძე: ისევ სპორტს ვემსახურები

ძართველ წყალბურთელებს წლების განმავლობაში მრავალი წარმატებისთვის მიუღწევიათ როგორც ყოფილ საბჭოეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ჩვენს სპორტსმენებს მოუპოვებიათ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების სხვადასხვა სინჯის მედლები. განსაკუთრებით გამორჩეულია საკავშირო პირველობებისა თუ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადების შედეგები. დასტურად ისიც გამოდგება, რომ 1979 და 1986 წლების სპარტაკიადებზე ჩვენმა წყალბურთელებმა მხოლოდ მოსკოვის ნაკრებთან დათმეს ფინალური პაექრობები და მეორე ადგილები დაიკავეს. 1986 წლის „ვერცხლის“ გუნდის შემადგენლობაში თამაშობდა მამუკა კელაურაძე, ამჟამად ტურისტული სააგენტო „კლარკ რობინსონის“ ერთ-ერთი თანამფლობელი, რომელიც დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.

— ექვსი წლისამ ცურვაში დავიწყე ვარჯიში ლადა ალექსანდროვას და ნინა ჩოლარიას ხელმძღვანელობით. — გვითხრა მან. — 1980 წლამდე თანატოლებში რამდენჯერმე საქართველოს პირველობა მოვიგე. მერე წყალბურთზე გადავინაცვლე. ამ საინტერესო სპორტის სახეობის საიდუმლოებას ბორის მეგედიმ და თენგიზ ივანიშვილმა მაზიარეს. იმავე წელს ქუთაისში „ნორჩ დინამოელთან“ ერთად მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონი გავხდი.

— „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში რატომ ვერ მოხვდით?

— ჩემი სპორტული კარიერა იმ პერიოდს დაემთხვა, როცა „დინამოში“ შესანიშნავი წყალბურთელები გამოდიოდნენ: ვლადიმერ ისელიძე, მიხეილ გიორგაძე, ნოდარ კურტანიძე, დავით რურუა და სხვები, რომლებმაც 1979 წლის სპარტაკიადაზე გადამწყვეტი პაექრობა არაობიექტური მსაჯობის გამო ერთი ბურთით დათმეს და ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ამდენად, ამ გუნდში მოხვედრა იოლი არ იყო. იმ დროს, როცა ახალგაზრდული გუნდებიდან „დინამოს“ გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვდნენ ალეკო ნიკოლაიშვილი, შოთა ბაღათურია, კახა კანდელაკი, კახა კინწურაშვილი, სანდრო ბითაძე, დიმა რამიშვილი, მიშა გიორგაძე-უმცროსი, მამუკა კერესელიძე და სხვები, მე სამხედრო სამსახურში გამიწვიეს და თბილისის არმიის სასპორტო კლუბის გუნდში დავიწყე თამაში. საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში გადმოსასვლელად ვიბრძოდით.

— და საქართველოს ნაკრებშიც მოხვდით...

— 1986 წლის საბჭოთა კავშირის სპარტაკიადაზე 1966 წელს და უფრო გვიან დაბადებულმა წყალბურთელებმა იასპარეზეს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი ჩხიკვაძემ და მწვრთნელმა ბორის მეგედიმ მეც მიხმეს. შესანიშნავი გუნდი ჩამოყალიბდა: კარებში მამუკა კერესელიძე იდგა, დაცვაში მიშა გიორგაძე-უმცროსი და ზაზა მაჭავარიანი თამაშობდნენ, შუა ხაზში დიმა რამიშვილი, გია გობეჯიშვილი და მე ვიყავით, ცენტრალური თავდამსხმელი იყო სანდრო ბითაძე. ნაკრების ღირსებას იცავდნენ, ასევე, ირაკლი ლიპარტელიანი, მიხეილ ფანჩულიძე, თემურ კობახიძე, ლევან წულაძე, თემურ ღვალაძე, ნოდარ ჩოლარია და სხვები. სოხუმში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო პირველობაზე ვიასპარეზეთ. ძლიერმა კოლექტივებმა მოიყარეს თავი, თან ჩვენზე უფროსებმა. მხოლოდ ერთი შეხვედრა წავაგეთ კიეველებთან და მეორე ადგილზე გავედით. მაშინ ვირწმუნეთ, რომ სპარტაკიადაზეც შეგვეძლო წარმატებით ბრძოლა. მართლაც, მოსკოვში პირველ შეხვედრაში კიევისა და ლვოვის დინამოელებით დაკომპლექტებულ უკრაინის ნაკრებს ვძლიეთ. არადა, იმ შემადგენლობიდან ბევრი საკავშირო ნაკრების წევრი იყო. ოთხი მატჩი მოვიგეთ, ფინალში მოსკოვის ნაკრებმა გვაჯობა და მეორე ადგილზე გავედით. საქართველოს ნაკრების შემადგენლობის ნახევარი სპარტაკიადის შემდეგ თბილისის სკა-ში აღმოჩნდა. ჩვენი გუნდი იმავე წელს საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში გადმოვიდა. ორი წელიწადი კაპიტანი ვიყავი.

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ?

— 1991 წელს დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატში ვითამაშეთ. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში „დინამოს“ მოვუგეთ და ჩემპიონობა მოვიპოვეთ. მერე ქვეყანაში სიტუაცია აირია, სპორტისთვის ვილას ეცალა და მეც სხვა გზა ავირჩიე — ოჯახი მყავდა სარჩენი. 1995 წელს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ნუგზარ ერაძე რომ გახდა, ისევ დავუბრუნდი წყალბურთს და ფედერაციის გენერალურ მდივნად ამირჩიეს. ჩემი ფუნქცია იყო ახალგაზრდული გუნდების შეჯიბრებებზე გამგზავრების ორგანიზება. შევატყვე, რომ მენეჯერული საქმიანობა კარგად გამომდიოდა, ამიტომ 1998 წლიდან ტურიზმში გადავინაცვლე. დღემდე ამ მიმართულებით ვმუშაობ. არ არსებობს ქვეყანა, სადაც ჯგუფები არ გამეგზავნოს ან დელეგაციები არ მიმეღოს იქიდან. 1999 წელს ფიჯიტონგაზე გავამგზავრეთ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები. 2011 წელს მეგობრებსა და თანამოაზრეებთან ერთად დავაარსეთ საერთაშორისო ტუროპერატორი „კლარკ რობინსონი“. ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა სპორტული ტურიზმი, კერძოდ, საფეხბურთო დელეგაციების მომსახურება, მსოფლიოს მასშტაბით ქართველთა დელეგაციების მოგზაურობის უმაღლეს დონეზე დაგეგმვა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში უმაღლეს დონეზე მოვემსახურეთ გერმანიის, ირლანდიის, ჰოლანდიის, შოტლანდიისა და უკრაინის საფეხბურთო კავშირების დელეგაციებს, საფეხბურთო კლუბებს: „ბრიუგეს“ (ბელგია), „რენს“ (საფრანგეთი), „რაპიდს“ (ავსტრია), „შტურმს“ (ავსტრია), „პარტიზანს“ (სერბეთი), „ჰაიდუკს“ (ხორვატეთი), „მარიტიმუს“ (პორტუგალია) და მათს გულშემატკივრებს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო გერმანიის ნაკრებისა და „ბარსელონას“ დელეგაციების მასპინძლობა.

— თქვენ ერთ დროს ფიფა-ს აგენტიც იყავით...

— დიახ, 2005 წელს გამოცდები ჩავაბარე და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ლიცენზირებული საფეხბურთო აგენტი გავხდი. 2005-2012 წლებში ყველაზე წარმატებული იყო გიორგი შაშიაშვილის ტრანსფერები გრაცის „შტურმსა“ და ჰერაკლიონის „ერგოტელისში“. ამჟამად საფეხბურთო აგენტობა შეჩერებული მაქვს, რადგან მთელი ყურადღება სპორტულ ტურიზმზე გადავიტანე. იმედია, ჩვენი ორგანიზაციის გარჯა ამაოდ არ ჩაივლის.

ვაჟა დანელია

◎ ო, ენავ ჩემო!

საქართველოში, მათ შორის კახეთში?

ერთ-ერთი აქტის პროექტში ასეთი განმარტება იყო: **„...მშენებლობის, მათ შორის** განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის ნებართვა... გაიცემა...“„მათ შორის“ შესიტყვება რომ გაემართლებინა (რატომ სჭირდება ამას გამართლება, მერე ვიტყვით), რედაქტორმა წინადადების თავში მრავლობითის ფორმით ჩასვა სიტყვა „ობიექტების“ და ფრაზის დასაწყისი ასეთი გამოვიდა: **„ობიექტების** მშენებლობის, **მათ შორის** განსაკუთრებული მნიშვნელობის **ობიექტის** მშენებლობის ნებართვა...“ მერე რატომღაც ისევ პირვანდელი, თანაც უხეირო, ვარიანტი დატოვეს, მსგავსი კონსტრუქცია ბლომად გვხვდება, კერძოდ, ნორმატიული აქტების ენაში.

აი, რამდენიმე მაგალითი, ამოკრეფილი ოფიციალური მასალებიდან: „... საქართველო შეუერთდა იმ სულისკვეთებას, რომლითაც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გამსჭვალულია მთელი ცივილიზებული **სამყარო. მათ შორის** რუსეთი: „წინადადებათა განხილვა და მომზადება მოქმედი **კანონმდებლობის (მათ შორის** მინისტრის სათანადო ნორმატიული აქტით დადგენილი წესის) შესაბამისად“: „...დაცვის ფონდის დაარსება აგრობიომრავალფეროვნების **კონსერვაციის, მათ შორის** ტრადიციული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების... ხელშეწყობის მიზნით“;

მსგავსი კონსტრუქცია მრავლად არის პრესის ენაშიც: „უნდა მოეწყოს ქალაქში დასადგმელი ქანდაკებების, ძეგლების ადგილის შესარჩევი... კონკურსები და მათ შეფასებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა

საზოგადოებამ, მათ შორის უცხოელმა სპეციალისტებმა...“ და მისთ.

აქ აშკარად ჩანს რუსულის გავლენის კვალი. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს თუნდაც ასეთი მაგალითები: „სიტუაცია რომ შეცვალოს, რუსეთმა უნდა განამტკიცოს კავშირი დემოკრატიულ დასავლეთთან, მათ შორის ნატოსთანაც“; „მან ვერ გაიგო, რომ შეურაცხყოფა მიაყენა ქვეყანას, იმიტომ რომ ისიც, მათ შორის, პასუხისმგებელია ომის ლეგალიზაციისათვის“; „ამან არ შეიძლება არ შეგვაშფოთოს, მათ შორის იმიტომაც, რომ არანაირად არ შეესაბამება მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა იმ დონეს, რომლებიც იყო ჩვენს ხალხებს შორის“ და ასე შემდეგ, ყოველ ნაბიჯზე. რუსულს რომ ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ეს „მათ შორის“, ამას ინტერნეტის მეშვეობით დაძებნილ ამ მაგალითთაგან თუნდაც ბოლო ორი წინადადება მოწმობს, სადაც სრულიად ზედმეტია ამ ელემენტის ხმარება, რადგან იქვეა „ისიც“ („ისიც პასუხისმგებელია...“) და „იმიტომაც“ („იმიტომაც, რომ ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს...“).

ჩვენ რაღა უნდა ვქნათ? რა და, გავარკვიოთ, როდის არ უნდა ვიხმაროთ შესიტყვება „მათ შორის“. ამ საკითხს რომ ეხება, ენათმეცნიერი ნანა მეტრეველი (იხ. წიგნი „როგორ იქმნება კანონი“, 2000, თბ. 254-255) განიხილავს საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან ამოღებულ ერთ-ერთ მაგალითს –„3. არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ერთი პირის მიერ მეორე პირისათვის საფასურის გადახდით **ქონების (მათ შორის ფულადი სახსრების)** დროებით გამგებლობაში... გადაცემა“ და წერს, ფრჩხილებში ჩასმული სიტყვათა ჯგუფი სიტყვა ქონების დასაკონკრეტებლად უნდა იყოს გამოყენებული, მაგრამ ყოვლად გაუმართლებელია ის ფორმა, რომლითაც გადმოცემულია ეს ინფორმაცია. „მათ შორის“ გულისხმობს **გარკვეული ჩამონათვალის დროს ერთი კონკრეტული ობიექტის გამოცალკევებას, ქონება კი თვითონაა ერთი ობიექტი (ხაზგასმა ჩვენია. – ავტ.),** ამიტომ მისგან ვერ გამოიყოფა სხვა რომელიმე, მით უმეტეს, როცა არც სხვა ელემენტებია ჩამოთვლილიო. ეს მოსაზრება მკაფიოდ მიგვანიშნებს იმაზეც, თუ როდის უნდა ვიხმაროთ საანალიზო შესიტყვება: „... საავტომობილო გზა, რკინიგზა... მილგაყვანილობა... საჰაერო-საბაგირო გზა, საჰაერო და საკაბელო საკომუნიკაციო **ხაზები, მათ შორის** ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზები“ (აქტი); „... სპეციალურმა ექსპედიციამ დაათვალიერა ყოფილი სსრ კავშირის სამხრეთის მთიანი **რაიონები, მათ შორის** საქართველო (ცემი, წაღვერი, აბასთუმანი“ („სრ“, 26.IV.07) ეს ფრაზა ეტალონად შეიძლება ჩაითვალოს.

როგორ მოვიქცეთ დანარჩენ შემთხვევებში? ამაზე პასუხს გაგვაცემინებს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, რომელიც გვეტყვის, რომ ასეთ შემთხვევებში უნდა მოვიშველიოთ სიტყვები: „კერძოდ“, („ისაუბრეს საქართველოზე, კერძოდ თბილისზე“), „საკუთრივ“ („საქართველოში, საკუთრივ კახეთში, მეღვინეობას ძველთაგან მისდევენ“), „სახელდობრ“, „განსაკუთრებით“ და სხვ. (ამათგან უფრო პროდუქტიული ჩანს ჩართული სიტყვა „კერძოდ“).

აი, მაგალითებიც: „ბოლო დროს მკაფიოდ გამოიკვეთა ტენდენცია: **სამხრეთ კავკასიის, კერძოდ,** საქართველოს, საბოლოოდ დაკარგვის საშიშროების გამო რუსეთი ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებას ცდილობს...“; „დაბეჭდა გამოკვლევა საზოგადოდ **შავი ქვისა** და **კერძოდ** ჭიათურის ქვის შესახებ“ (თედო სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, გვ. 196); „სვანეთში, რაჭაში, ყვირილისა და ლიახვის ხეობებში, **იმიერკავკასიაში, კერძოდ, არდონის ხეობაში** მას (დოლის პურს. –ავტ.) წითელი დოლის სახელით იცნობენ“ (ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, გვ. 280); „საქართველო ამ რესურსის ერთ-ერთი დიდი მფლობელია და მისი მომავალი ეკონომიკური განვითარება, ალბათ, დაკავშირებული უნდა იყოს **წყალთან, კერძოდ,** წყლის მსოფლიო ბაზარზე ჩვენი ადგილის მოპოვებასთან“ (უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საადღგომო ეპისტოლე, „სრ“, 26.IV. 06).

ეს არის უტყუარი საბუთი იმისა, თუ სად და როგორ უნდა ვიხმაროთ საანალიზო სიტყვები, და პასუხი თავში დასმულ კითხვაზე.

ოთარ კაპანაძე

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელის მომწერი (სიგნატორი)

გია ფირცხალაიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ფრიდონ ინჯია ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს ზურაბ ჩხაიძეს მეუღლის

მარიამ გაბრიჩიძის

გარდაცვალების გამო.

ალექსანდრე მოვსესიანი და დავით დათოშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აგროსამრეწველო კომპლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის ყოფილი თავკაცი, ღირსეული პიროვნება და სამაგალითო მეგობარი

რამაზ შალვას ძე ანთაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
29 3-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◎ კრიმინალი

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით „ექსტაზი“ ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ა/რ-ის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს და უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული, ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქე ელნურ ბ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გადაზიდვის ბრალდებით სარფში დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 83 აბი და აბის 3 ნატეხი ე.წ. „ექსტაზი“ ამოიღეს. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გადაზიდვის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით) მიმდინარეობს.

◎ ორგანიზმის მინიშნებები

პირს რომ ნერწყვი მოგადგება...

ყველამ ვიცით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისთვის სისხლის შემადგენლობა. მაგრამ, ნაკლებადაა ცნობილი იმის შესახებ, რომ ორგანიზმის მდგომარეობის არანაკლებ მნიშვნელოვანი „სადარბაზო ბარათია“... ნერწყვი.

ნერწყვის ჯირკვლების მიერ გამოყოფილი სითხე ცილების, ვიტამინების, მიკრო და მაკროელემენტების ჭეშმარიტად „კოქტეილს“ წარმოადგენს, თუმცა კი მისი შემადგენლობის თითქმის 99 პროცენტს წყალი წარმოადგენს. იოდის, კალციუმის, კალიუმის, სტრონციუმისა და სხვა ელემენტების შემცველობა ნერწყვში გაცილებით მაღალია, ვიდრე სისხლში, თანაც მასში უამრავი მიკროელემენტიცაა, მათ შორის რკინა, სპილენძი, ნიკელი, მანგანუმი, ლითიუმი, ალუმინი, ცინკი, ქრომი, ვერცხლი, ტყვია.

ასეთი მდიდრული შემადგენლობა ნერწყვის ფერმენტების სწორ მოქმედებას უზრუნველყოფს, რომლებიც საჭმლის მონელებას პირშივე იწყებენ. მათგან ერთ-ერთი, ლიზოციმი, გამორჩეული ბაქტერიციდული თვისებების მქონეა, ამიტომაც მას ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატის დასამზადებლად გამოყოფენ.

გამოცდილ ექიმს ნერწყვით ზოგიერთი ორგანოს მუშაობასა და მდგომარეობაზე დასკვნის გამოტანა, ასევე ადრეულ სტადიაზევე ზოგიერთი ავადმყოფობის გამოვლენა შეუძლია. ინფექციურ დაავადებათა დროს ნერწყვის სუსტად ტუტოვანი რეაქცია მჟავურით იცვლება. ნეფრიტის (თირკმლების ანთების) დროს ნერწყვში აზოტის შემცველობა იცვლება. იგივე ხდება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს. ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა დროს ნერწყვი ბლანტი და ქაფიანი ხდება. ასევე იცვლება მისი შემადგენლობა ზოგიერთი სიმსივნური სნეულების დროს, რაც ზუსტი დიაგნოსტირების საშუალებას იძლევა მაშინ, როცა კლინიკური სურათი ჯერ კიდევ ბუნდოვანია.

ორგანიზმის დაბერებასთან ერთად ნერწყვში მიკრო და მაკროელემენტების პროპორციები ირღვევა, რაც კბილის ქვის დალექვის, კარიერისა და პარადონტის ანთების ალბათობას ზრდის.

ნერწყვის შემადგენლობა ასევე იცვლება შიმშილობის, აგრეთვე ჰორმონალური ბალანსის ზოგიერთი დარღვევის დროს.

ამიტომაც, თუკი ექიმმა ნერწყვის ანალიზი დაგინიშნათ, ნუ გაგიკვირდებათ, რადგან ამით ბევრი რამის გაგება შეიძლება.

ნერწყვის სითხის ხარისხიან ანალიზს ლაბორატორიაში სპეციალური რეაგენტებისა და ხელსაწყოების მეშვეობით ატარებენ. მაგრამ, ზოგჯერ მასში ცვლილებები იმდენად დიდია, რომ კაცმა, ყოველგვარი გამოკვლევის გარეშეც, შეიძლება ეჭვი აიღოს. საგანგაშოა როცა:

● იცვლება ნერწყვის ფერი – საჭმლის მომნელებელი სისტემის ზოგიერთი დაავადების დროს ის მოყვითალო ხდება (იგივე შეიმჩნევა თამბაქოს ინტენსიურად მწეველებშიც, რაც, შესაძლოა, გარკვეული შიდა პათოლოგიის ნიშანი იყოს).

● ნერწყვის უკმარისობა, პირში გამუდმებული სიმშრალე, წვის შეგრძნება და წყურვილის შეგრძნებაც კი – ყველაფერი ეს, შესაძლოა, დიაბეტის, ჰორმონალური აშლილობის, ფარისებრი ჯირკვლის დაავადების ნიშნები იყოს.

● ზედმეტად ჭარბი ნერწყვის გამოყოფა, რომელიც გემრიელი საკვების მიღებას არ უკავშირდება, შესაძლოა, ზოგიერთი სიმსივნის ან ჰორმონალური აშლილობის ნიშანი იყოს.

● ნერწყვის მწარე გემო – ღვიძლის ან ნაღვლის ბუშტის პათოლოგიის ნიშანია.

ნებისმიერი ამ გამოვლინების შემთხვევაში აზრი აქვს ექიმს მიმართოთ, რომელიც დამატებით გამოკვლევას დაგინიშნავთ დარღვევათა მიზეზის დასადგენად.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ბევრს მდიდარი ჯიბე უჩხრიალებს, ბევრსაც მშიერი მუცელი უჭყრიალებს

წლიური ხელფასი 80 000, ა, ბატონო, ხიდაშელ-უსუფაშვილის ქონება!

„მეტრონომი“ აგრძელებს საჯარო პირების ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნებას. ჩვენ ამჯერად დავინტერესდით საქართველოს თავდაცვის მინისტრის თინათინ ხიდაშელის ქონებითა და შემოსავლებით. გთავაზობთ ხიდაშელის ქონებრივ დეკლარაციას, რომელიც მას 2016 წლის იანვარში აქვს შევსებული. თუმცა მანამდე შემოგთავაზებთ მის მოკლე ბიოგრაფიას.

თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა 1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურა (ბუდაპეშტი, 1996) და ვაშინგტონის სამართლის სკოლა.

ხიდაშელის პოლიტიკური კარიერა 2005 წლიდან იწყება, როცა ის „რესპუბლიკურ პარტიაში“ გაწევრდა. მისი პოლიტიკური კარიერის მწვერვალი ამ დრომდე 2015 წლის 1 მაისს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილება იყო, რომელმაც ხიდაშელს ქართული ჯარი ჩააბარა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის სულ რამდენიმე ათწლეულის ფონზე, ის პირველი ქალი თავდაცვის მინისტრია.

ხიდაშელი „რესპუბლიკური პარტიის“ წევრია, რომელიც მმართველი კოალიციის რიგებში შედის. პარტიას კოალიციის სხვა წევრები ხშირად დებენ ბრალს პროდასავლური კურსის „ექსკლუზიურობის“ მითვისებაში.

ბოლო დროს, ამ ბრალდებებს არჩევნების გაყალბებაც დაემატა. უმრავლესობაში შემავალმა ერთ-ერთი პარტიის ლიდერმა გოგი თოფაძემ პირადად მინისტრი დადანაშაულა საგარეჯოში ჩატარებული არჩევნების გაყალბებაში.

დაპირისპირება პოლიტიკოსებს შორის მორატორიუმით დასრულდა, ხოლო საგარეჯოს არჩევნებს პროკურატურა იძიებს.

რაც შეეხება მის ქონებასა და შემოსავლებს:

თინა ხიდაშელი თბილისში ორ ბინას ფლობს. ფანასკერტელის ქუჩაზე მდებარე ბინათა ფართობი 60.00კვ.მ და 116.00 კვ.მ.

დედა ზიზილა ურგებაძე საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთს საგარეჯოში ფლობს.

რაც შეეხება დანაზოგს, პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილსა და თინა ხიდაშელს დანაზოგის სახით სულ 3000 ლარი აქვთ. ხიდაშელის დედას კი 4000 აშშ დოლარი აქვს დანაზოგის სახით.

მინისტრის პოსტზე ხიდაშელს მაისიდან დღემდე 62 744 ლარი აქვს აღებული, ხოლო პარლამენტის წევრ თინა ხიდაშელს 20436 ლარი. მის მეუღლეს დავით უსუფაშვილს – 80 031.

100-მა მილიონმა კახა ბენდუქიძის ქალიშვილი ანასტასია გონჩაროვა გააქართველა და ქართულის შესწავლა დაანყებინა...

ეკონომიკის ყოფილი მინისტრის კახა ბენდუქიძის შვილი ანასტასია ბენდუქიძე საქართველოში გამომავალ ინგლისურენოვან გაზეთ Financial-ს საკმაოდ ვრცელ ინტერვიუს აძლევს. მას შემდეგ, რაც სასამართლომ ანასტასია ბენდუქიძე კახა ბენდუქიძის კანონიერ შვილად აღიარა, მან ბენდუქიძის ქონებიდან მემკვიდრეობით, დაახლოებით 100 მლნ მიიღო. რაში აპირებს ფულის დაბანდებას ბენდუქიძის ქალიშვილი? ამის შესახებ ჩვენი ვიდეოსიუჟეტიდან შეიტყობთ.

„გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე მამამ თავი ცუდად იგრძნო და მითხრა, რომ ანდერძს ამზადებდა. მას სურდა ფულის დიდი ნაწილი უნივერსიტეტის განვითარებას მოხმარებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, რომ ის ფული და აქტივები, რომლებიც მისგან მივიღე, უნივერსიტეტს მოვახმარო, რადგან უნივერსიტეტები კახა ბენდუქიძისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. რაც შეეხება საინვესტიციო პროექტებს საქართველოში, საინვესტიციო კლიმატი დამოკიდებულია ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ამჟამად, რთულია ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი, თუმცა როგორც აღვნიშნე, ჩემთვის განათლების სფერო ყველაზე მნიშვნელოვანია. განათლების სისტემით მამაჩემი იყო დაინტერესებული და ჩემი სურვილია მისი საქმე გავაგრძელო.“

მთავარ ეკონომიკურ გამოწვევად ანასტასია ბენდუქიძე ეროვნული ვალუტის დევალვაციას მიიჩნევს. თუმცა, დადებითად აფასებს ქვეყნის მიღწევას ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის საკითხში.

„ძალიან მიხარია, რომ საქართველომ, ბოლოს და ბოლოს, მიაღწია უვიზო მიმოსვლას ევროკავშირთან და ის მალე ამოქმედდება. ვფიქრობ, რომ ეს ქვეყნისთვის დიდი მიღწევაა. თუმცა, ძალიან მაღელვებს ლარის დევალვაციის საკითხი. ეკონომიკური ზრდაც ძალიან ნელია. მამაჩემმა თქვა, თუ საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2% იქნება, მაშინ 2040 წელს საქართველო აღარ იქნება.“

ბენდუქიძის ქალიშვილი, რომელიც რუსეთში დაიბადა და გაიზარდა, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზეც საუბრობს. ანასტასია აცხადებს, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს ნაწილია. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, ის კახა ბენდუქიძის აზრს იზიარებს და აცხადებს, რომ რუსეთი იმპერიალიზმის სენითაა შეპყრობილი.

„რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი და აფხაზეთის საკითხი კახა ბენდუქიძემ თავის წიგნში „მშვიდობით, იმპერია“ კარგად აღწერა. მან ძალიან ზუსტად დაუსვა რუსეთს დიაგნოზი. ბევრი პრობლემა რუსეთში გამოწვეულია რუსების იმპერიალისტური სინდრომით. რუსეთის ერთ-ერთი დიდი პრობლემა არის ისიც, რომ პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ბევრმა ადამიანმა, რომელთაც ფული გააჩნდათ და რომელთაც შეეძლოთ ინვესტირება განეხორციელებინა რუსეთში, მათ დატოვეს ქვეყანა. რუსეთის დღევანდელი სიტუაცია ბრწყინვალე მომავლის იმედს ნამდვილად არ იძლევა.“

ინტერვიუს ბოლოს ანასტასია ბენდუქიძე მამაზეც საუბრობს.

„კახა ბენდუქიძეს ძალიან უყვარდა საქართველო. ის დაბრუნდა საქართველოში და ცდილობდა ქვეყნისთვის საუკეთესო გაეკეთებინა. ჩემთვის საქართველო არის ადგილი, სადაც მამასთან სიახლოვეს მეტად ვგრძნობ. მას უყვარდა საქართველო და უნდოდა ქართული მეხწავლა. ვამაყობ, რომ ქართველი ვარ.“

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
2 93-37-87.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– საით ყოფილხარ, მაშო?

– აი, ტყეში ვიყავ, სოკო დავკრიფეი.

– რა სოკოა, ნეტა?

– აბა რა ვიცი, ქა! ახლა, შინ რომ მივალ, სოკოს შევწვამ და, ყოველი შემთხვევისთვის, დავიბან, სუფთებს ჩავიცვამ, მანიკურ გავიკეთებ...

* * *

– ტყუილებს თავი დაანებე, შაქრო! როგორ შეიძლება შენ შაკიკი გქონდეს – ეს ხომ დიდებულთა სნეულებაა! რომ თქვა, გოგრა მისკდებაო, სხვა საქმეა!..

* * *

პოპულარული პოლიტიკოსის წინასაარჩევნო კლიპს იღებენ. რეჟისორი მას ეუბნება:

– როგორც კი გადაღებას დავიწყებთ, მარტივ კითხვას დაგისვამთ, თქვენ კი მიპასუხებთ: „დიახ, მე სწორედ ის კაცი ვარ, ამის პასუხი ვინც იცის“. გაიგეთ?

– გავიგე.

– აბა, დავიწყეთ!.. რამდენია ორჯერ ორი?

სამარისებური სიჩუმე.

დაბნეული რეჟისორი პოლიტიკოსს ეკითხება.

– აბა, კიდევ ერთხელ ვცადოთ... კითხვამ ხომ გაგაკვირვათ, ბატონო?

– მარტო კითხვამ კი არ გამაკვირვა, პასუხმაც გამაოცა!..

* * *

– ახალგაზრდავ, ბანკში დედიშობილა შემოსვლა არ შეიძლება!

– მხოლოდ ერთი წუთის საქმე მაქვს, იპოთეკა უნდა გადავიხადო...

* * *

– დედიკო, დედიკო, ა-ა ვქენი!

– კარგი, შვილო. ადექი დროზე, სამსახურში არ დაგაგვიანდეს!

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!